

**ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და
ქვეპროგრამების შესახებ**

სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“ **2405**
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

საქართველოს ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია **240501**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
24 05 01	ადმინისტრაციული ხარჯები	1397,2	1431,3	1380,7	96%	

1.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე **2405 02**

პროგრამის განმახორციელებელი – სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
24 05 02	მარკეტინგული ღონისძიებები	3500,0	3500,0	3248,1	93%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები :

პრეს და ინფო ტურები

თურქეთი - იანვრის თვეში ადმინისტრაციის მხარდაჭერით საქართველოს სტუმრობდა „კავკასიის ქარის“ გადამღები ჯგუფი თურქეთიდან. პროექტის ფარგლებში ისინი ესტუმრნენ თბილისს, დუშეთს, თელავს, გორს, ქუთაისს, ოზურგეთს, ზუგდიდს, მესტიას. გაკეთდა სიუჟეტი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალსა და კულტურაზე. დოკუმენტური ფილმი გადაიღემა თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიის TRT-ს დაქვემდებარებაში მყოფ არხზე TRT AVAZ, ასევე იგეგმება ფილმის გაშვება შემდეგ არხებზე TRT HABER, TRT TURK და TRT HT. დოკუმენტური სერიების ნახვა შესაძლებელია RTR-ის ვიდეო არქივში: <http://www.trt.net.tr/trtavaz/vodcast.aspx?GRKod=3c2432d4-b125-4084-abd2-247957667806>

უკრაინა - 1-6 თებერვალს ადმინისტრაციამ უმასპინძლა 10 კაციან ტურ-ოპერატორთა ჯგუფს უკრაინიდან. ტურ ოპერატორები წარმოადგენდნენ 9 სხვადასხვა კომპანიას უკრაინის 4 ქალაქიდან, კერძოდ კიევიდან, კრემენჩუკიდან, დონეცკიდან და დნეპროპეტროვსკიდან. ტურის ორგანიზების მიზანს საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების რეკლამირება და პოპულარიზაცია წარმოადგენდა. პროგრამის ფარგლებში ისინი ესტუმრნენ გუდაურსა და ბაკურიანს, გაეცნენ კურორტების ტურისტულ ინფრასტრუქტურას - სათხილამურო ტრასებსა და სასტუმროებს. მათ ასევე დაათვალიერეს სასტუმროები თბილისში. ვიზიტის დროს მონაწილეები შეხვდნენ ქართული ტურ-ოპერატორების წარმომადგენლებს.

ყაზახეთი - 11-18 თებერვალს ორგანიზება გაუკეთდა გაცნობით ტურს 9 ტურ-ოპერატორის 10 წარმომადგენლისთვის ყაზახეთიდან. ტურის ორგანიზების მიზანს საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების რეკლამირება და პოპულარიზაცია წარმოადგენდა. პროგრამის ფარგლებში ისინი ესტუმრნენ გუდაურსა და ბაკურიანს, გაეცნენ კურორტების ტურისტულ ინფრასტრუქტურას - სათხილამურო ტრასებსა და სასტუმროებს. ისინი ასევე ესტუმრნენ სიღნაღსა და ბოდბეს. 16 თებერვალს საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში გაიმართა შეხვედრა ქართული კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. 2 საათის განმავლობაში ყაზახურ და ქართულ მხარეს საშუალება ქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ ერთმანეთს, გაეცვალათ ინფორმაცია და განეხილათ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

„კანდაგარი“

კომპანია „კანდაგარი“ ერთ-ერთი ფართო ტურ-ოპერატორების ქსელია დსთ-ს მასშტაბით, რომლის ოფისებიც განთავსებულია სხვადასხვა ქვეყანებში, კერძოდ კი: რუსეთში, ბელორუსში, ლატვიაში და უკრაინაში. „კანდაგარმა“ შემოგვთავაზა კომბინირებული ტურის ორგანიზება ზემოხსენებული ქვეყნებიდან. 2013 წლის 11-16 აპრილს საქართველოს ეწვია რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და ლატვიელი ტურ-ოპერატორების 10 -კაციანი ჯგუფი. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით იმყოფებოდნენ იმერეთისა და აჭარის რეგიონებში, ასევე თბილისსა და მცხეთაში.

კომბინირებული ტური გერმანიიდან

მ/წლის 24-29 მაისს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მასპინძლობა გაუწია გერმანიიდან ტურ-ოპერატორებისა და ჟურნალისტების 20 კაციან ჯგუფს. აღნიშნული ტური განხორციელდა ბერლინის ქართული სახლის თანაორგანიზებით, რომელთან შეთანხმებითაც დაიგეგმა ტური და გერმანელი ტურისტის ინტერესის გათვალისწინებით ძირითადი აქცენტი გაკეთდა კულტურულ და კულინარიულ ტურიზმზე.

მონაწილეები ეწვივნენ თბილისის ისტორიულ უბანს, მცხეთას, გორს, „მატო მუხრანს“, კახეთის რეგიონს - ალავერდის მონასტერს, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლმუზეუმსა და სიღნაღს.

27 მაისს სასტუმრო რედისონის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა შეხვედრა ტურში მონაწილე ჯგუფსა და ქართველ ტურ-ოპერატორებს შორის, სადაც ორი საათის განმავლობაში მათ მიეცათ საშუალება პირისპირ ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და განეხილათ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ყაზახეთი - ეროვნული არხის ჟურნალისტების პრეს ტური

მ/წლის 10-18 ივნისს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა ჟურნალისტებს ყაზახეთიდან. აღნიშნული პრეს ტურის ორგანიზების თხოვნით ადმინისტრაციას მომართა ყაზახეთის ეროვნული ტელევიზიისა და კომპანია „დამუ მედია გრუპის“ ხელმძღვანელობამ, რომელთანაც შეთანხმდა პროგრამა და გადაწყდა, ყაზახი ტურისტის ინტერესის გათვალისწინებით, ძირითადი აქცენტი გაკეთებულიყო სამედიცინო და დასვენების ტურიზმზე.

პრეს ტურის ფარგლებში საქართველოში ჩამოვიდნენ გადაცემის „Жиһанкез“ („მოგზაური“) ჟურნალისტი ისმაგულოვ ასილბოლატი და ოპერატორი ჯავატანოვ ნურლანი. პროგრამის მიხედვით ისინი ესტუმრნენ თბილისის ისტორიულ უბანს, კახეთის რეგიონს - სიღნაღს, წინანდალს, თელავს და ყვარელს, გორს, უფლისციხეს, ბორჯომს, საირმეს, ქუთაისს, წყალტუბოს, ბათუმსა და აჭარის მაღალმთიან რეგიონს.

როგორც წინასწარ იყო განსაზღვრული, ვიდეო გადაღებების შედეგად მომზადდება დაკუმენტური 3 სიუჟეტი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. თითოეული სიუჟეტი 26 წუთის ქრონომეტრაჟის იქნება, ასევე წინასწარ იყო შეთანხმებული რომ მედია ბადეში აღნიშნული სიუჟეტები ივნისის თვეში ჩასმულიყო, შესაბამისად მასალა უკვე დამონტაჟების პროცესშია და ადმინისტრაციას მოეწოდება უახლოეს მომავალში.

გაცნობითი ტური რუსი ტურ-ოპერატორებისთვის:

მ/წლის 7-11 ივნისს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა 20 კაციან ინფო-ტურს რუსეთიდან. გაცნობითი ტურის ფარგლებში ადმინისტრაცია უზრუნველყოფდა სტუმრების განთავსებას თბილისში, ბათუმში და წყალტუბოში.

პრეს ტური რუსი ჟურნალისტებისთვის:

მ/წლის 6-12 ივნისს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მასპინძლობდა რუსეთის ფედერაციის წამყვან ჟურნალისტებს, რომელთა სახელები ცნობილია მსოფლიოს მასშტაბით. გაცნობითი ტურის ფარგლებში ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული პოტენციალის უკეთ გაცნობის მიზნით იმყოფებოდნენ კახეთში, ბორჯომში, ახალციხეში, თბილისსა და მცხეთაში.

პრეს ტური რუსი გადამღები ჯგუფისთვის

ა.წ. 9 ივნისიდან – 16 ივნისის ჩათვლით განხორციელდა პრეს ტური რუსული ტელეარხის „Россия 2“ რეიტინგული კულინარიულ-სათავგადასავლო გადაცემის „Язь против еды“ გადამღები ჯგუფისთვის.

26 წუთიანი გადაცემა „Россия 2“-ს მაყურებელს მოუთხოვს ქვეყნის კულინარიული ტრადიციებისა და გასტრონომიული მიღწევების შესახებ. ამასთან ერთად ხდება ქვეყნის გეოგრაფიის, ისტორიისა და ტურისტული ობიექტების წარმოჩენა.

პრეს ტურის ფარგლებში მოხდა საქართველოს ტურისტული ობიექტებისა და ნაციონალური კერძების წარმოჩენა, კერძოდ: ბათუმის, მაღალმთიანი აჭარის, ლოპოტას და თბილისის მონახულება.

კულინარიულ - სათავგადასავლო ფილმი ემსახურება საქართველოს, სხვადასხვა ტურისტული პროდუქტის, კერძოდ კულინარიული, სათავგადასავლო და კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციას.

პრეს ტური კორეელი გადამღები ჯგუფისათვის

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეწვია კორეელი ჟურნალისტების სამ-კაციანი ჯგუფი. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით იმყოფებოდნენ სვანეთის, კახეთისა და ბორჯომის რეგიონებში, ასევე თბილისში.

აღნიშნული პრეს ტურის განხორციელება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის, ვინაიდან მათ გადაიღეს მასალები ორი 30 წუთიანი გადაცემისათვის, სადაც გაშუქდება თბილისის, სვანეთის, კახეთისა და ბორჯომის ტურისტული ღირშესანიშნაობები.

ღვინის სიმპოზიუმის ფარგლებში პრეს ტური

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“-სთან ერთად, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა 12 კაციან ტურ-ოპერატორთა ჯგუფს. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მოენახულებინათ თბილისის, მცხეთის, ქუთაისისა და კახეთის რეგიონის ღირსშესანიშნაობები, გასცნობოდნენ მეღვინეობის კულტურასთან დაკავშირებულ ექსპონატებს და დასწრებოდნენ ღვინის გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოში წარმოებული ღვინის მრავალი სახეობა.

გაცნობითი ტური ჩინელი ტურ-ოპერატორებისთვის:

მიმდინარე წლის 21-26 სექტემბერს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა 15 კაციან ტურ-ოპერატორთა ჯგუფს. ვიზიტის ფარგლებში მათ მოინახულეს თბილისი, მცხეთა, გორი, გუდაურის, ქუთაისი, მესტია და სიღნაღი. აგრეთვე მოხდა შეხვედრა ქართველ ტურ-ოპერატორებთან.

პრეს ტური უკრაინელი ტურ-ოპერატორებისთვის:

ა.წ. 19-23 აგვისტოს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო გაცნობითი ტური ტურ-ოპერატორებისათვის ხარკოვიდან და კიევიდან, მასში მონაწილეობა მიიღო 13 ტურ-ოპერატორმა ხარკოვიდან და 2 ტურ-ოპერატორმა კიევიდან. აღსანიშნავია, რომ ტურის განხორციელება დიდად განაპირობა ქუთაისი-ხარკოვის რეისის დანიშვნამ. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეები ეწვივნენ ქუთაისს, ბათუმს, თბილისს, მცხეთას, გუდაურს, სტეფანწმინდასა და ბაკურიანს. 21 აგვისტოს ორგანიზება გაუკეთდა მათ შეხვედრას ქართველ ტურ-ოპერატორებთან.

პრეს ტური რუსი გადამღები ჯგუფისთვის

მიმდინარე წლის 2-10 სექტემბერს განხორციელდა პრეს-ტური რუსეთიდან გადაცემა „ტელეკაფეს“ გადამღები ჯგუფისთვის. პროექტის ფარგლებში მომზადდა 45 წუთიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც გავა რუსეთის პირველ არხზე. ტურის განმავლობაში გადამღები ჯგუფი ესტუმრა თბილისის ისტორიულ ნაწილს - მცხეთას, შუამთას, იყალთოს წინანდალს, გრემს, ყვარელს, სიღნაღს, უფლისციხეს, ამბროლაურს, ქუთაისს და ბათუმს.

პრეს ტური უკრაინელი ტურ-ოპერატორებისთვის:

მიმდინარე წლის 27-30 სექტემბერს განხორციელდა პრეს-ტური უკრაინის მაღალრეიტინგული არხის „ინტერ“ გადაცემა „ореол и решка“-ს გადამღები ჯგუფისთვის, რომელიც მოამზადებს სიუჟეტს საქართველოს ტურისტული შესაძლებლობების შესახებ. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე გადაღებები მიმდინარეობდა ორ ჯგუფად, პარალელურ რეჟიმში. ერთი ჯგუფი ესტუმრა თბილისის ისტორიულ ნაწილს - ანანურს, ყაზბეგს და ბორჯომს, ხოლო მეორე ჯგუფი ესტუმრა სიღნაღს, გურჯაანს, მესტიას და ვარძიას.

გაცნობითი ტური რუსი ტურ-ოპერატორებისთვის:

ა.წ. 7-11 ივლისს განხორციელდა გაცნობითი ტური რუსეთის წამყვანი ტურ-ოპერატორების, ჟურნალისტების და საქმიანი ტურიზმით დაინტერესებული კომპანიებისთვის. ინფო-ტურის ფარგლებში დაფინანსდა განთავსება.

პრეს ტური უკრაინელი ტურ-ოპერატორებისთვის:

მიმდინარე წლის 28.08-04.09 განხორციელდა პრეს-ტური უკრაინის მაღალრეიტინგული ტელე და ბეჭდური მედიის ჟურნალისტებისთვის. გაცნობითი ტურის ფარგლებში ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული პოტენციალის უკეთ გაცნობის მიზნით იმყოფებოდნენ სტეფანწმინდაში, საირმეში, მესტიაში, საირმეში, ბათუმში, თბილისსა და მცხეთაში.

პრეს ტური არაბი ტურ-ოპერატორებისთვის:

ა.წ. 14-19 სექტემბერს განხორციელდა პრეს-ტური ტელეარხ „Sony Entertainment Television“, კერძოდ კი გადაცემა „Weekend out“-ის ჟურნალისტებისთვის, რომელიც მაუწყებლობს არაბთა გაერთიანებულ სამეორეში. ტურის ფარგლებში ჟურნალისტები ეწვივნენ სტეფანწმინდას, მცხეთას, თბილისსა და კახეთს. ჟურნალისტები მოამზადებენ სიუჟეტებს საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ღვინის თემაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები - 27 სექტემბერი-4 ოქტომბერი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით მ/წლის 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა გაცნობითი ტური 15 ტურ-ოპერატორისა და 1 ჟურნალისტისათვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ამერიკელი ტურისტის ხასიათის გათვალისწინებით ძირითადი აქცენტი გაკეთდა კულტურულ ტურიზმზე. პროგრამის ფარგლებში ჯგუფმა მოინახულა თბილისის ისტორიული უბანი, მცხეთა, კახეთის რეგიონი, კერძოდ სიღნაღი, წინანდალი, ალავერდი, გრემი, ასევე გუდაური, ყაზბეგი, გორი, ბაკურიანი, ბორჯომი, ვარძია, ახალციხე.

ვიზიტის ფარგლებში მათთვის დაიგეგმა შეხვედრა ქართველ ტურ-ოპერატორებთან. 3 საათის განმავლობაში ორივე მხარეს საშუალება ქონდათ გაეცვალათ საკონტაქტო ინფორმაცია, წარედგინათ საკუთარი კომპანიები და განეხილათ სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები.

გაცნობითი ტური: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, შვედეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი - 2-7 ოქტომბერი

2013 წლის 2 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ავიაკომპანია „ეარბალტიკთან“ ერთად განახორციელა გაცნობითი ტური შემდეგი ქვეყნების ტურ-ოპერატორებისათვის: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, შვედეთი, ნორვეგია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი. აღნიშნულ ტურში მონაწილეობდა 17 ტურ-ოპერატორი. პროგრამის ფარგლებში ისინი ეწვივნენ თბილისის ისტორიულ უბანს, მცხეთას, ანანურს, გუდაურს, ქუთაისს, ბათუმს, გონიოს, სიღნაღს. 6 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში გაიმართა შეხვედრა ქართული კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომელზედაც წარმოდგენილი იყო 50-მდე ქარველი ტურ-ოპერატორი. საქმიანი შეხვედრის ფორმატის ფარგლებში მათ საშუალება მიეცათ განეხილათ სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

ისრაელი - 13-19 ნოემბერი

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით და ორგანიზებით მოეწყო პრეს-ტური ისრაელიდან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჟურნალ - „METROPOLIS“ - ის 2 რედაქტორმა. აღნიშნული ჟურნალი წელიწადში ოთხჯერ გამოდის და მის სეგმენტს ძირითადად ხანშიშესული (50+) მოგზაურები წარმოადგენენ. ნომერი მთლიანად მიეძღვნება თბილისსა და ზოგადად საქართველოში მოგზაურობას. „METROPOLIS“ - ის თბილისის ნომერი დეკემბრის ბოლოს გამოვიდა და ისრაელის წიგნის

მაღაზიებსა და აეროპორტებში იყიდება. ტურის განმავლობაში ჯგუფი ესტუმრა თბილისის ისტორიულ ნაწილს, მცხეთას, ყაზბეგს, სიღნაღს და წინანდალს.

გაცნობითი ტური ყაზახეთის რესპუბლიკიდან (9-15 დეკემბერი)

9-15 დეკემბერს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა გაცნობითი ტური ყაზახეთის რესპუბლიკიდან. მასში მონაწილეობდა 15 ტურ-ოპერატორი ქალაქებიდან ალმატა, ასტანა და თარაზი.

ტურის მონაწილეები თბილისში 9 დეკემბერს, დილით ჩამოვიდნენ. პროგრამის ფარგლებში მოინახულეს თბილისის ისტორიული უბანი, მცხეთა, გუდაური, ბორჯომი, ბაკურიანი, წყალტუბო, ქუთაისი.

ტურის ძირითად მიზანს სამთო-სათხილამურო, ასევე სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტების პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

გაცნობითი ტური ყაზახეთის რესპუბლიკიდან (16-22 დეკემბერი)

მ/წლის 16-22 დეკემბერს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა დამატებით გაცნობით ტურს 15 ტურ-ოპერატორისათვის ყაზახეთის რესპუბლიკიდან. ყაზახი ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ტურის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდება სამთო-სათხილამურო და სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კურორტებზე.

პრეს-ტური ისრაელიდან (12-17 დეკემბერი)

მ/წლის 12-17 დეკემბერს ადმინისტრაციის ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელდა პრეს-ტური 8 ჟურნალისტისთვის ისრაელიდან. ტურის განმავლობაში ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამთო-სათხილამურო და კულტურულ ტურიზმზე. საქართველოში ვიზიტის დროს ტურის მონაწილეებმა მოინახულეს ყაზბეგი, გუდაური, ანანური, სიღნაღი, წინანდალი, თბილისის და მცხეთის ღირშესანიშნაობები.

გაცნობითი ტური ჰოლანდიის წამყვანი ტურიზმის სკოლის „Hotel School the Hague“ წარმომადგენელთან (18-21 ნოემბერი)

სსიპ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მ/წლის 18 – 21 ნოემბერს საქართველოში მოიწვია ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული სკოლის „Hotel School the Hague“ გენერალური მენეჯერი ქალბატონი ანეტ ვან დე მენი.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოში და კერძოდ თბილისში, ტურიზმის დარგში წარმატებულ უნივერსიტეტებთან. ასევე აღსაღნიშნავია, რომ ქალბატონი ანეტი შეხვდა თბილისში ქსელური სასტუმროების წარმომადგენლებს.

ქალბატონი ანეტის ვიზიტის ფარგლებში მოხდა შემდეგი უნივერსიტეტების მონახულება:

19 ნოემბერი - სულხან საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ნოემბერი- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

ასევე გაიმართა შეხვედრა სასტუმროს წარმომადგენლებთან „Tbilisi Marriott“-ში. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული პერსონალის გადამზადების და ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბების შესაძლებლობების განხილვა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივის დასახვა.

პრეს-ტური რუსი ჟურნალისტებისათვის (6-14 დეკემბერი)

2013 წლის 6 ოქტომბრიდან 14 ოქტომბერის ჩათვლით საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა 4 კაციან პრეს-ტურს რუსეთიდან.

პრეს-ტურის ფარგლებში მოწვეულნი იყვნენ რუსეთის რეიტინგული მედია საშუალებების წარმომადგენლები (რუსული ტელეკომპანია „СТРИМ-ТВ“-დან და «С.РАДЗШЕВСКИЙ И К В ПОИСКАХ РЫБАЦКОГО СЧАСТЬЯ»).

გაცნობითი ტური ახალგაზრდული ევრო-პარლამენტის წევრებისათვის (10 ოქტომბერი)

2013 წლის 10 ოქტომბერს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ უმასპინძლა ახალგაზრდული ევროპარლამენტის 300 წევრს. საქართველოს ტურისტული პოტენციალის უკეთ წარდგენის მიზნით ორგანიზება გაუკეთდა ექსკურსიას მცხეთაში, სადაც უცხოელმა ახალგაზრდებმა დაათვალიერეს სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი და მცხეთის მიმდებარე ტერიტორია. ხოლო ექსკურსიის შემდეგ დააგემოვნეს ქართული კერძები.

პრეს-ტური რუსეთიდან (10-14 ოქტომბერი)

2013 წლის 10 ოქტომბრიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, 2013 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, უმასპინძლა 11 კაციან პრეს-ტურს რუსეთიდან. ტურის ფარგლებში საქართველოს ეწვივნენ რუსეთის წამყვანი ბეჭდური მედიის რედაქტორები და ჟურნალისტები.

პროგრამის მიხედვით ტურის მონაწილეებმა მოინახულეს ბათუმის, ქუთაისის, თბილისის, მცხეთისა და კახეთის ტურისტული ინფრასტრუქტურა.

პრეს და გაცნობითი ტური ლატვიიდან

11-16 დეკემბერს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სამოქმედო გეგმის მიხედვით ჩაატარა კომბინირებული ტური 6 ლატვიელი ჟურნალისტისა და 1 ტურ-ოპერატორისათვის.

პროგრამის ფარგლებში სტუმრები ეწვივნენ თბილისს, მცხეთას, სიღნაღს, წინანდალს და ყაზბეგს. მათი ინტერესებიდან გამომდინარე აქცენტირება მოხდა კულტურულ ღირსშესანიშნაობებზე.

პრეს-ტური რუსეთიდან (4-9 ოქტომბერი)

2013 წლის სექტემბრის თვეში სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში შემოვიდა წერილი „ГРОСС“-ის გენერალური დირექტორისგან ბატონი გელა ზავრაშვილისაგან რუსეთის ფედერაციის მსხვილი ტურისტული კომპანიებისთვის გაცნობითი ტურის ორგანიზების შესახებ. აღნიშნული გაცნობითი ტურის ფარგლებში, 13-მა ტურ-ოპერატორმა მოინახულა ბათუმი, ქუთაისი, თბილისი, მცხეთა, გუდაური, ანანური, ყაზბეგი, სიღნაღი და წინანდალი. ასევე მოხდა შეხვედრა ქართულ ტურ-ოპერატორებთან.

პრეს-ტური აზერბაიჯანიდან (11-16 დეკემბერი)

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა პრეს -ტური აზერბაიჯანიდან. პროექტის ფარგლებში ჩამოვიდა რადიო - „ANS Ch.M. Radio Broadcasting Co“ და „Araz fm Radio“ წამყვანი ჟურნალისტები, ასევე ინტერნეტ ტელევიზიის „CBC tv Caspian Broadcasting Company“ გადამღები ჯგუფი. პროექტის შედეგად 2014 წლის პირველ კვარტალში მომზადდება გადაცემები საქართველოს შესახებ და გავრცელდება ზემოხსენებული მედია საშუალებებით.

ტურის განმავლობაში გადამღები ჯგუფი ესტუმრა თბილისის ისტორიულ ნაწილს, ასევე მცხეთას, გუდაურს, ყაზბეგს, სიღნაღსა და ლოპოტას.

საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობები

EMITT - თურქეთი, სტამბოლი, 27-29 იანვარი

24-28 იანვარს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სასტუმროებთან ლომსია და მარკო პოლო, ასევე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან ერთად 54 კვ. მეტრის საპრეზენტაციო სტენდით წარმოდგენილი იყო თურქეთში, ქალაქ სტამბოლში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე EMITT.

FITUR - ესპანეთი, მადრიდი, 30 იანვარი - 3 თებერვალი

მიმდინარე წლის 30 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით ესპანეთში, ქალაქ მადრიდში გაიმართა ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა FITUR. 55 კვ. მეტრის საპრეზენტაციო სტენდზე ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ტუროპერატორები: Caucasus Travel, Visit Georgia, Georgian Discovery Tours, Georgica Travel, Explore Georgia და საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო.

IMTM - ისრაელი, თელ-ავივი, 5-6 თებერვალი

მიმდინარე წლის 5-6 თებერვალს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2013 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა მიიღო ისრაელში, ქალაქ თელ-ავივში, მეცხრამეტე საერთაშორისო ტურიზმის გამოფენაში „IMTM 2013“, სადაც იგი წარმოდგენილი იყო 49 კვ.მ. საპრეზენტაციო სტენდით, ოთხ ტურისტულ სააგენტოსთან, სასტუმრო „მარკო პოლოსა“ და ქუთაისის მერიის წარმომადგენლებთან ერთად.

ITB - გერმანია, ბერლინი, 6-10 მარტი

2013 წლის 6-10 მარტს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მონაწილეობდა ბერლინის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში ITB 2013. 63 კვ. მეტრის ერთიან საპრეზენტაციო სტენდზე ასევე წარმოდგენილები იყვნენ კომპანიები Tika Tours, Caucasus Travel, Visit Georgia, Explore Georgia, GeorgiCa Travel, Concord Travel, Levon Travel სასტუმრო ლომსია, დაცული ტერიტორიების სააგენტო და TAV Georgia.

UITT - უკრაინა, კიევი, 27-29 მარტი

27-29 მარტს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 56 კვ. მეტრის საპრეზენტაციო სტენდზე წარმოდგენილი იყო უკრაინის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე UITT, რომელიც გაიმართა კიევიში. აღნიშნულ გამოფენაზე ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ავია კომპანია Fly Georgia, სასტუმროები „შერატონი“, „გუდაური მარკო პოლო“, „წყალტუბოს სანატორიუმი“, ტურ-ოპერატორები Georgian Discovery Tours, Concord Travel, My Way, Georgian Wonders”.

GIBTM - არაბეთის გაერთიანებული საემიროები, აბუდაბი, 24-27 მარტი

25-27 მარტს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ქალაქ აბუდაბიში გამართულ საქმიანი ტურიზმის გამოფენა-ბაზრობაში GIBTM. საქართველოს მონაწილეობა ნაწილობრივ დააფინანსა ორგანიზაციამ EPI - Economic Prosperity Initiative. ერთიან სტენდზე ასევე წარმოდგენილი იყვნენ კომპანიები TravelShop, GeorgiCa Travel, Georgian Event.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა AITF (4 – 6 აპრილი)

2013 წლის 4 აპრილიდან- 6 აპრილამდე სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, სამოქმედო გეგმის მიხედვით, მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში დაგეგმილ რიგით მე-12 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში AITF.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს პოზიციონირებას როგორც კავკასიის, ასევე ზოგადად მსოფლიო ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე. გამოფენას AITF, ესწრებოდნენ ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რაც B 2 B შეხვედრებისა და სამომავლო თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

KITF 2013

2013 წლის 24-26 აპრილს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა მიიღო ყაზახეთში, ქალაქ ალმა-ატაში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში KITF. აღნიშნული გამოფენა წელს უკვე მე-13 გაიმართა და დიდი პოპულარობით სარგებლობს იმ ქვეყნებს შორის, რომლებისთვისაც ყაზახეთი მიზნობრივი ბაზარია, შესაბამისად, აქ წარმოდგენილი არიან ტურიზმის სფეროს პროფესიონალები როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ასევე ყაზახეთიდან.

წელს ადმინისტრაციასთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი კომპანიები: TravelShop, My Way, Silk Way Georgia, Caucasus Travel, Georgian Wonders, Gudauri Marco Polo, Tskaltubo Spa Resort და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

ბათუმის მე-6-ე საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა

2013 წლის 10-12 მაისს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2013 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში მე-6-ე საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობაში.

Routes Europe 2013

მიმდინარე წლის 12-14 მაისს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2013 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა მიიღო უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში, საერთაშორისო ტურიზმისა და ავიაციის გამოფენაში „Routes Europe 2013“. აღნიშნული გამოფენა ყოველწლიური მარშრუტების განვითარების ფორუმია, სადაც მონაწილეობას იღებენ წამყვანი ქვეყნების ტურიზმის ადმინისტრაციები, აეროპორტები, ავიახაზები, ავიაციის სფეროს წარმომადგენლები. „Routes Europe 2013“ გახლდათ მნიშვნელოვანი გამოფენა ტურიზმის განვითარებისა და ავიაციის ხელშეწყობისათვის.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აღნიშნულ გამოფენაში გახლდათ მონაწილეობის თანადამფინანსებელი, საქართველოს აეროპორტებთან და ქართული ავიახაზები „Fly Georgia“-სთან ერთად.

Tbilisi Expo 2013

2013 წლის 12-14 აპრილს, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2013 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის მე-15 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობაში.

JATA – იაპონია, ტოკიო, 12-15 სექტემბერი

მიმდინარე წლის 12-15 სექტემბერს იაპონიაში, ქალაქ ტოკიოში გაიმართა ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა JATA-2013. 36 კვ. მეტრის საპრეზენტაციო სტენდზე ადმინისტრაციასთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ტუროპერატორები: Caucasus Travel, Visit Georgia, Georgica Travel, Concord Travel და Tika Tours.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა „Tour Salon 2013“

მოგახსენებთ, რომ 2013 წლის 17-19 ოქტომბერს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო ქ. პოზნანში რიგით 24-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში „Tour Salon 2013“. აღნიშნული ღონისძიება პოლონეთის ბაზარზე წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან და მასშტაბურ გამოფენა-ბაზრობას ტურიზმის სფეროში. გამოფენაზე თავს იყრიან წამყვანი ტურ-ოპერატორები, საერთაშორისო წარმომადგენლობები. ტარდება თემატური სამეცნიერო, პრაქტიკული კონფერენციები და სემინარები, მყარდება ახალი საქმიანი კონტაქტები.

MICE ტურიზმის გამოფენა-ბაზრობა EIBTM (19-21 ნოემბერი)

19-21 ნოემბერს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წარმოდგენილი იყო ესპანეთში, ქ. ბარსელონაში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში EIBTM. აღნიშნულ გამოფენაზე საქართველომ უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა.

EIBTM თემატური სახის გამოფენაა, რომლის პროფილს წარმოადგენს MICE (Meetings, Incentives, Conferences and Exhibitions) ტურიზმი. MICE ტურიზმი მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი და სწრაფად მზარდი დარგია. სწორედ, ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს პოზიციონირება MICE ტურიზმის კუთხით. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ყალიბდება საკონვენციო ბიურო, შესაბამისად აღნიშნული თემატიკის გამოფენაში მონაწილეობის მიღება კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის იძლევა საჭირო კონტაქტების დამყარების საშუალებას.

საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა WTM

2013 წლის 4 ნოემბრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო ინგლისში, ქალაქ ლონდონში ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში WTM 2013.

WTM 2013- ზე სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაწილეობა პროდუქტიული და წარმატებული იყო, როგორც ტურისტული ცნობადობის ასამაღლებლად, აგრეთვე ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით.

პრეზენტაცია ჩინეთში

მიმდინარე წლის 9 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, ჩინეთში, ქალაქ გვანჯოუში, შანხაისა და პეკინში „JSC Georgian Tour“-ის და ავია კომპანია „China Southern Airlines“ -ის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს საპრომოციო ტური.

ღონისძიების ფარგლებში, 10, 12, 15 მარტს მოეწყო შეხვედრები წამყვან ადგილობრივ ტურ-ოპერატორებთან და ჩატარდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის პრეზენტაცია. ღონისძიების ფარგლებში გავრცელდა საქართველოს საპრომოციო მასალები.

2013 წლის შემაჯამებელი პრეზენტაცია თბილისში (18 დეკემბერი)

18 დეკემბერს, საქართველოში, ქალაქ თბილისში სასტუმრო „Sheraton“ - ში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გაიმართა წლიური შემაჯამებელი პრეზენტაცია, კერძოდ კი განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების და სამოქმედო გეგმის გაცნობა. პრეზენტაციაზე მოწვეული

იყო 200-მდე სტუმარი. მათ შორის: ტურ ოპერატორები, სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი, ავია კომპანიები, მასმედია და ტურიზმის ინდუსტრიაში მოღვაწე კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლები.

პრეზენტაცია ლატვიასა და ლიტვაში (2-3 ოქტომბერი)

2013 წლის 2 ოქტომბერს ქ. რიგაში, ლატვიაში, და 3 ოქტომბერს ქ. ვილნიუსში, ლიტვაში ჩატარდა საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების პრეზენტაცია. ღონისძიებებზე მოწვეულნი იყვნენ ლიტვასა და ლატვიაში წამყვანი ტურ ოპერატორები და ჟურნალისტები.

პრეზენტაცია უკრაინაში (26 ნოემბერი-2 დეკემბერი)

2013 წლის 26 ნოემბერს უკრაინაში ქ. ლვოვში, 29 ნოემბერს ქ. დნეპროპეტროვსკში და 2 დეკემბერს ქ. ოდესაში ჩატარდა საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია. ღონისძიებებზე მოწვეული იყვნენ უკრაინის წამყვანი ტურ-ოპერატორები და მას-მედიის წარმომადგენლები.

მარკეტინგული კამპანია ბალტიისპირეთში.

2013 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს მარკეტინგულ კამპანიას ბალტიისპირეთში. მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში ქ. ვილნიუსში, ლიტვაში და ქ. რიგაში, ლატვიაში განთავსდა ბანერები, ვიდეო მონიტორები და ლედ ბანერები.

მარკეტინგული კამპანია უკრაინაში

მიმდინარე წლის 17 სექტემბრიდან - 15 დეკემბრამდე უკრაინაში განხორციელდა მას რეკლამა, რაც გულისხმობს გარე ბილბორდებისა და LED მონიტორების განთავსებას კიევის, ხარკოვისა და დონეცკის ცენტრალურ უბნებში, ასევე ონლაინ კამპანიას.

მარკეტინგული კამპანია აზერბაიჯანში

2013 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აზერბაიჯანში მიმდინარეობს მასშტაბური მარკეტინგული კამპანიის განხორციელება, ონლაინ და გარე რეკლამების სახით. აღნიშნული კამპანიის მიზანია პოპულარიზაცია გაეწიოს კონკრეტულ ტურისტულ პროდუქტებს, კერძოდ სამთო-სათხილამურო და ღვინის ტურიზმს, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ტურისტული შეთავაზებებისა და საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლებას აზერბაიჯანის ტურისტულ ბაზარზე. ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევის ფარგლებში, 22 სექტემბრიდან 22 დეკემბრამდე განხორციელდა: მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (9 ბილბორდი) რეკლამის გავრცელება ბაქოს ცენტრალურ უბნებში; ქალაქის ცენტრში ორ მონიტორზე გავიდა საქართველოს საპრომოციო ვიდეო რგოლები; ონლაინ კამპანიის ფარგლებში Navigator.az, Baku.ws ვებ-საიტებზე გავრცელდა ფლემ ბანერები. ასევე აზერბაიჯანის სოციალური ქსელის საშუალებით განხორციელდა ადმინისტრაციის არსებული Facebook გვერდის (Georgia and Travel) რეკლამირება.

www.georgia.travel

მ/წლის მარტის თვეში ინტერნეტ სივრცეში ჩაეშვა ვებ-გვერდის www.georgia.travel განახლებული ვერსია. ვებ-გვერდზე განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია ქვეყნის ტურისტულ პოტენციალთან დაკავშირებით, მასზე ასევე განთავსებული არის განახლებული ფოტო ბანკი და გამოირჩევა ნავიგაციის მარტივი სისტემით.

საბორტო ჟურნალ „WIZZ“ საქართველოს სარეკლამო ბანერის განთავსება

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში, საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ერთ-გვერდიანი სტატია გამოქვეყნდა ავიახაზების “WIZZAIR” საბორტო ჟურნალში „WIZZ“.

საქართველოს რკინიგზის საბორტო ჟურნალ „Reilway“ საქართველოს სარეკლამო მასალის განთავსება

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი სარეკლამო მასალა გამოქვეყნდა საქართველოს რკინიგზის საბორტო ჟურნალ „Reilway“-ში. იგი გამოიცემა ეთჯერადად, ტირაჟი გახლავთ 20 000.

საბორტო ჟურნალ „Aeroplan“ საქართველოს სარეკლამო ბანერის განთავსება

მიმდინარე წლის სექტემბერში გამოქვეყნდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი ოთხ-გვერდიანი სტატია და სარეკლამო ფოტომასალა საბორტო ჟურნალში „Aeroplan“. აღნიშნული ჟურნალი ვრცელდება სხვადასხვა ავიახაზის რეისებზე, აეროპორტებში, ავიაკომპანიების ოფისებში, რესტორნებში და მაღალი კლასის სასტუმროებსა და სპა ცენტრებში უკრაინის მასშტაბით.

Heritage of our World

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განათავსა სარეკლამო ბანერი გერმანულ National Geographic-ის სპეციალურ გამოცემაში - “Heritage of our World”. “Heritage of our World”-ის ტირაჟი გახლავთ 100.000, რომელიც გავრცელდა National Geographic-ის ხელმძღვრებთან, ასტონ მარტინის 13 სალონში გერმანიაში, ფრანკფურტში მდებარე სასტუმრო „ჯუმეირა“-ს სპეციალურ ნომრებში, და ასევე ფრანკფურტის აეროპორტის ვიპ ლაუნჯებში.

საბორტო ჟურნალ „WIZZ“ საქართველოს სარეკლამო ბანერის განთავსება

მიმდინარე წლის 25 სექტემბრიდან განთავსდა სარეკლამო ინტერნეტ ბანერი ავიაკომპანია “WIZZAIR“ საბორტო ჟურნალში „WIZZ“ ინტერნეტ გვერდზე „wizzmagazine.com“. აღნიშნული რეკლამა გაგრძელდება 25 დეკემბრამდე.

ინგლისურენოვან გაზეთ „ჯორჯიან თაიმს“ში საგაზეთო ჩანართის განთავსება

მიმდინარე წელს დაიგეგმა ინგლისურენოვან გაზეთ „ჯორჯიან თაიმს“-ში ოთხი (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) საგაზეთო ჩანართის მომზადება. აქედან სექტემბრის თვეში გამოიცა პირველი საგაზეთო ჩანართი. „ჯორჯიან თაიმსი“ გამოდის ყოველ ორშაბათს და უფასოდ ვრცელდება 550 ბიზნეს კომპანიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, საელჩოებში, სამთავრობო სტუქტურებში, პრაიმ-კლასის სასტუმროებში და აეროპორტების სიპ და ვიპ ზონებში. გაზეთი ასევე ვრცელდება აირზენას, ფლაი ჯორჯიასა და თურქული ავიახაზების ბორტზე. გაზეთის გარდა, სტატიები ასევე განთავსდება მათ ოთხ-ენოვან ვებ-გვერდზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე).

გაზეთ „პრემიერ“-ში რეკლამის განთავსება

მიმდინარე წელს განთავსდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი რეკლამა ყოველკვირეული გაზეთის „პრემიერის“ 25 სექტემბრის გამოცემაში. ტირაჟი გახლავთ 5000 ცალი.

რეკლამა ინტერნეტ გვერდზე „wizzmagazine.com“

2013 წლის 25 სექტემბრიდან განთავსდა საქართველოს სარეკლამო ინტერნეტ ბანერი ავიაკომპანია “WIZZAIR” საბორტო ჟურნალის „WIZZ“ ინტერნეტ გვერდზე „wizzmagazine.com“. აღნიშნული რეკლამა გაგრძელდა 25 დეკემბრამდე.

ჩანართი „ჯორჯიან თაიმსში“

2013 წლის სექტემბრის თვიდან ადმინისტრაცია ანთავსებს საგაზეთო ჩანართს ინგლისურენოვან გაზეთ „ჯორჯიან თაიმს“-ში. „ჯორჯიან თაიმსი“ გამოდის ყოველ ორშაბათს და უფასოდ ვრცელდება 550 ბიზნეს კომპანიაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, საელჩოებში, სამთავრობო სტუქტურებში, პრაიმ-კლასის სასტუმროებში, და აეროპორტის სიპ და ვიპ ზონებში. გაზეთი ასევე ვრცელდება აირზენას, ფლაი ჯორჯიასა და თურქული ავიახაზების ბორტზე. გაზეთის გარდა, სტატიები ასევე განთავსდება მათ ოთხ-ენოვან ვებ-გვერდზე (ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე). ვიზიტორთა რაოდენობა ყოველდღიურად 30-35 000 მომხმარებელია. თითო ჩანართის ტირაჟი არის 10 000 ეგზემპლარი.

სარეკლამო გვერდი ჟურნალ „ფოკუსში“

ჟურნალ „Focus“-ში განთავსდა 2 გვერდიანი სარეკლამო გაშლა. ჟურნალი „Focus“ (ზომა - 170*230მმ) გამოიცემა პერიოდულად, ტირაჟი გახლავთ 3000. გამოსვლის თვეებია ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი. აღნიშნული ჟურნალი ვრცელდება პოპულარულ სასტუმროებსა და კაფე-ბარებში. ჟურნალ „Focus“-ის სამ ნომერში განთავსდება: ორ-გვერდიანი სარეკლამო გაშლა, ადმინისტრაციის სიახლეები და ღონისძიებები.

სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია

მ/წლის 18 ივნისს განხორციელდა სამოქმედო გეგმის წარდგენა კერძო სექტორის წარმომადგენლების, ჟურნალისტებისა და მთავრობის წევრებისათვის. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა 250 მოწვეული სტუმრისათვის სასტუმრო რადისონ ბლუ ივერიას საკონფერენციო დარბაზში.

სანაოსნო შოუზე საქართველოს რეკლამირება

ნიდერლანდებში, ქ. ამსტერდამში ყოველწლიურ სანაოსნო შოუზე განხორციელდა საქართველოს რეკლამირება, სადაც მოხდა საპრომოციო რგოლის ჩვენება LED მონიტორზე.

პრეზენტაცია უკრაინაში

მიმდინარე წლის 26 ივლისს უკრაინაში, ქ. კიევში გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების პრეზენტაცია. პრეზენტაციას დაესწრო 150-მდე უკრაინის წამყვანი ტურ-ოპერატორი და ჟურნალისტი. საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად ღონისძიებაზე ასევე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს კერძო სექტორის წარმომადგენლები. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა ქართული კერძებისა და ღვინის დეგუსტაცია.

პრეზენტაცია აზერბაიჯანში

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, აზერბაიჯანში ქ. ბაქოში სასტუმროში „Park Inn“ გაიმართა პრეზენტაცია. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო კონკრეტული ტურისტული პროდუქტებისათვის პოპულარიზაციის გაწევა, კერძოდ კი სამთო-სათხილამურო და ღვინის ტურიზმის, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ტურისტული შეთავაზებებისა და საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლებას აზერბაიჯანის ტურისტულ ბაზარზე.

საქართველოს საპრომოციო სტენდი საფრანგეთში

საფრანგეთის რესპუბლიკაში, ქ. ანტიბისში 15-17 აგვისტოს საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირის ფარგლებში საქართველოს გადმოეცა საპრომოციო კუთხე, სადაც გავრცელდა საქართველოს საპრომოციო მასალები.

სარეკლამო კამპანია

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ხორციელდება სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ტელეარხზე „მირ“. აღნიშნული ტელეარხი მიზნობრივია საქართველოს საპრომოციო ვიდეორგოლის განსათავსებლად, ვინაიდან იგი გადასცემს საქართველოსათვის მიზნობრივ ქვეყნებში, კონკრეტულად კი - რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, უკრაინის, ესტონეთის, მოლდოვას, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთის, სომხეთისა და ბელორუსის მასშტაბით.

მარკეტინგული კამპანიები

- მიმდინარე წლის 17 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე უკრაინაში ხორციელდება „მას“ რეკლამა, რაც გულისხმობს გარე ბილბორდებისა და LED მონიტორების განთავსებას კიევის, ხარკოვისა და დონეცკის ცენტრალურ უბნებში.
- უკრაინაში ხორციელდება ონლაინ მარკეტინგული კამპანია. აღნიშნული კამპანიის მიზანია პოპულარიზაცია გაეწიოს კონკრეტულ ტურისტულ პროდუქტებს, ზაფხულისა და ზამთრის კურორტებს.

პიარ-კამპანია ხელს უწყობს აღნიშნული ტურისტული შეთავაზებებისა და საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლებას უკრაინაში ტურისტულ ბაზარზე.

- მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია ბალტიისპირეთში. მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში ქ. ვილნიუსში, ლიტვაში და ქ. რიგაში, ლატვიაში განთავსდა ბანერები, ვიდეო მონიტორები და ლედ ბანერები.
- აზერბაიჯანში მიმდინარეობს მასშტაბური მარკეტინგული კამპანია 22 სექტემბრიდან 22 დეკემბრამდე ონლაინ და გარე რეკლამების სახით. აღნიშნული კამპანიის მიზანია პოპულარიზაცია გაეწიოს კონკრეტულ ტურისტულ პროდუქტებს, კერძოდ სამთო-სათხილამურო და ღვინის ტურიზმს, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ტურისტული შეთავაზებებისა და საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლებას აზერბაიჯანის ტურისტულ ბაზარზე. შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდება აზერბაიჯანიდან ტურისტების ნაკადი.
- საერთაშორისო ავიახაზებთან მოლაპარაკების შედეგად 22 სექტემბრიდან 22 ოქტომბრის ჩათვლით დამატებით მიმდინარეობს გარე რეკლამების გავრცელება ხარკოვის და დონეცკის ცენტრალურ უბნებში, ვინაიდან რამოდენიმე ავიახაზი გეგმავს პირდაპირი რეისების რაოდენობის გაზრდას აღნიშნული მიმართულებებით.

დასახული საბოლოო შედეგი :

ქვეყნის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე.

მიღებული საბოლოო შედეგი :

საერთაშორისო ბაზარზე მომხმარებლის საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება, ცნობადობის ამაღლება და ტურისტული ნაკადების ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგების ინდიკატორები :

1. დაინტერესებული მომხმარებლის რაოდენობა;
2. საერთაშორისო ბაზარზე საქართველოზე, როგორც ტურისტულ მიმართულებაზე, ცნობადობის გაზრდა.
3. ტურიზმის საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა;
4. ვებ გვერდის მოხმარების სიხშირე;
5. უცხოურ მასმედიაში საქართველოს ტურისტული პოტენციალის ასახვა.

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა **240503**

პროგრამის განმახორციელებელი– სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
24 05 03	შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1500,0	1500,0	939,2	63%	

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები :

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება

- *ალპინისტური გზამკვლევი*

მომზადდა საქართველოს ალპინისტური გზამკვლევის საბეჭდი ვერსია ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელშიც ერთიანდება სვანეთისა და ყაზბეგის დამუშავებული მარშრუტები. გზამკვლევაში წარმოდგენილია საქართველოს ალპინისტური ტურიზმის პოტენციალის შესახებ ინფორმაცია; 29 მარშრუტის დეტალური აღწერილობა შესაბამისი კოორდინატებით, ფოტომასალითა და რუკებით.

- *ატენის ხეობის საფეხმავლო მარშრუტები*

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში განსაზღვრულია სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტების განვითარება შიდა ქართლის რეგიონში.

მიმდინარე წლის 1 კვარტალში, პროექტის ფარგლებში დამუშავებულ იქნა 10 სხვადასხვა სირთულის და ხანგრძლივობის საფეხმავლო მარშრუტი - ატენის ხეობისათვის. ამ ეტაპისთვის მზადაა:

1. ატენის ხეობის საფეხმავლო მარშრუტების ციფრული რუკა

პროექტის ფარგლებში შემუშავდა რუკის დიზაინი, შიგთავსი (დამუშავდა ხეობაში არსებული ძირითადი ღირსესანიშნაობების აღწერილობა) და მოძიებულ იქნა შესაბამისი ფოტო მასალა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს რუკის სტრუქტურული აწყობა.

2. ატენის ხეობის საფეხმავლო მარშრუტების გზამკვლევი.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა გზამკვლევის დიზაინი, დამუშავდა დეტალური აღწერილობები ზემოაღნიშნული მარშრუტების საფუძველზე და დასრულდა გზამკვლევის სტრუქტურული აწყობა.

- *მთიანი სამეგრელოს საფეხმავლო მარშრუტები*

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში განსაზღვრულია სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტების განვითარება სამეგრელოს რეგიონში.

სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით სამეგრელოს უნიკალური პოტენციალი გააჩნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეგიონის მთიანი ნაწილი, სადაც მრავალი მღვიმე, კარსტის ზედაპირული ფორმა, ჩანჩქერი, ტბა და მცენარეთა ენდემური და რელიქტური სახეობა გვხვდება.

ზემოაღნიშნული ტურისტული რესურსი აუთვისებელია და საჭიროებს კვლევას, რათა ხელი შევუწყოთ რეგიონში, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ბაზრისათვის, დამატებითი პროდუქტის შექმნას.

კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ შემდეგი საფეხმავლო მარშრუტები:

1. სოფ. მუხური - მდ. ხობისწყალის ხეობა - ალპური ზონის ტბების რაიონი - მდ. მაგანას ხეობა - სოფ. ლეშამუგე;
2. სოფ. თაია (ოცინდალეს კომპლექსი) - წიფურის ტაფობი - მიგარის კირქვეული მასივი (მწვერვალი მიგარია) - სოფ. ნაფიჩხოვო;
3. სოფ. მუხური - მდ. ხობისწყლის ხეობა - ტობავარჩხილის ტბა - სოფ. ხაიში;
4. სქური - ქუაქანცალის მოქანავე ლოდი (ყვირას მთა, წალენჯიხა) - მდ. მაგანას ხეობა;
5. სოფ. დობერაზენი - ლებარდე - დიდი და ჭიფე ტობავარჩხილის ტბები - მდ. ჯონოულის ხეობა - სოფ. ჩქუმი;
6. სოფ. დობერაზენი - ლებარდე - სოხ. ხაჩეში;
7. სოფ. ჩქვალერი (ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი) - მდ. ინწრას კანიონი, მდ. ინწრას ჩანჩქერი, ინწრას მღვიმე - სოფ. ჩქვალერი;
8. სოფ. კურზუ. მდ. ოჩხომურის კანიონი, მდ. ოჩხომურის ჩანჩქერი.

შენიშვნა: აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე მიმდინარე წლის 3 კვარტალში გამოცხადდა ტენდერი. გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია. სამუშაოს შესრულება და თანხის გადახდა მოხდება 4 კვარტალში.

- *იმერეთის რეგიონის ტურისტული რუკა*

შიდა ტურიზმის განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა იმერეთის ტურისტული რუკის შექმნაზე. პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა რუკის სტრუქტურა, შიგთავსი (დამუშავდა ძირითადი ღირსესანიშნაობების აღწერილობა), თემატური მარშრუტები და დიზაინი. მომზადდა რეგიონის თემატური მარშრუტებისათვის ციფრული რუკა.

- *საქართველოს ღვინის ტურიზმის რუკის მომზადება*

2012 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ განახორციელა ღვინის ტურიზმის პროექტი, რომლის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით აღწერილ იქნა ღვინის ტურიზმზე მომუშავე ობიექტები, შემუშავდა შესაბამისი მარშრუტები და მოხდა მათი მარკირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული მარკირებული მარშრუტების რუკაზე გადატანა. მომზადებულია რუკის სტრუქტურა და შესაბამისი ტექსტები, მიმდინარეობს დიზაინზე მუშაობა.

რუკაზე ასახული იქნება ღვინის ტურიზმისა და მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა თემატიკები. კერძოდ:

- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საქართველოს ღვინის გზის პროექტში შესული სხვადასხვა ტიპის ღვინის ობიექტები (საოჯახო და სამონასტრო მარნები, ღვინის საწარმო, მაღაზიები და რესტორნები).
- ისტორიული მარნები
- საქართველოს ვაზის გავრცელების არეალები
- ღვინის 18 ადგილწარმოშობის კონტროლირებადი ზონის რუკა
- ვაზის ძირითადი ქართული ჯიშების გავრცელების არეალები რეგიონების მიხედვით
- მევენახეობა-მეღვინეობით სახელგანთქმული სოფლები.

- *სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება - „კაიაკინგი“*

სსიპ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება - ფარგლებში დაიგეგმა სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, კერძოდ კი, საწყალოსნო ტურისტული პროდუქტის - კაიაკინგის მარშრუტების განვითარება.

პროექტის ფარგლებში მოხდება ქვეყნის მასშტაბით მდინარეების კვლევა და კაიაკინგის მარშრუტების შემუშავება, რომელიც ხელს უწყობს ახალი საწყალოსნო ტურისტული სახეობის დანერგვას საქართველოში.

გამოკვლეული იქნება შემდეგი მდინარეები:

1. მტკვარი (მონაკვეთი: ბორჯომი, ვარძია)
2. არაგვი (მონაკვეთი: ფშავი, ფასანაური)
3. რიონი (მონაკვეთი: ონი-ქუთაისი)
4. ცხენისწყალი
5. აბაშა
6. ტეხური
7. ჭოროხი
8. აჭარისწყალი
9. ალაზანი (მონაკვეთი: პანკისის ხეობა)

ამ ეტაპზე, 4 კვარტალში განხორციელდა მდ. რიონის (მონაკვეთი: ონი-ქუთაისი), მდ. ცხენისწყალის და მდ. ალაზანის (მონაკვეთი: პანკისის ხეობა) კვლევა, რის საფუძველზეც იქნა შემდეგი სახის მასალა მოწოდებული:

- მარშრუტთან მისასვლელი ბილიკებისა და თვით მარშრუტის GPS-ს ხელსაწყოთი აზომვა, ინფორმაციის მოწოდება ნებისმიერი GPS-ს ხელსაწყოებისთვის თავსებად gpx-ს ფაილად.;
- მარშრუტები აღწერილი უნდა იყოს IRF/ICF სტანდარტების შესაბამისად, რაც გულისხმობს IRF/ICF -ს მიერ შემუშავებული პირობითი აღნიშვნების გამოყენებას.
- აღნიშნული მდინარეების მონაკვეთების 1:50000 მასშტაბის ცალკე ინგლისურ და ქართულენოვანი ტოპოგრაფიული რუკის მომზადება, სადაც დატანილი იქნება აღნიშნულ მარშრუტების მისასვლელი გზა და თვით მარშრუტი;
- თითოეულ მარშრუტზე აღწერილობის მომზადება სირთულის კატეგორიების მიხედვით
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღნიშნული მდინარეების მარშრუტების გზამკვლევის საბეჭდი ფაილის მომზადება (ფოტო, ტექსტური, სქემატური და კარტოგრაფიული ნაწილით)

• **მთიანი სამეგრელოს სათავგადასავლო ტურისტული პოტენციალის კვლევა**

სსიპ. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება - ფარგლებში დაიგეგმა სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, კერძოდ კი, მთიანი სამეგრელოს საფეხმავლო მარშრუტების განვითარება.

პროექტის ფარგლებში კვლევის ობიექტებს წარმოადგენდნენ შემდეგი საფეხმავლო მარშრუტები:

9. სოფ. მუხური - მდ. ხობისწყალის ხეობა - ალპური ზონის ტბების რაიონი - მდ. მაგანას ხეობა - სოფ. ლემამუგე;
10. სოფ. თაია (ოცინდალეს კომპლექსი) - წიფურიას ტაფობი - მიგარიის კირქვული მასივი (მწვერვალი მიგარია) - სოფ. ნაფიჩხოვო;
11. სოფ. მუხური - მდ. ხობისწყლის ხეობა - ტობავარჩხილის ტბა - სოფ. ხაიში;
12. სქური - ქუაქანცალის მოქანავე ლოდი (ყვირას მთა, წალენჯიხა) - მდ. მაგანას ხეობა;
13. სოფ. დობერაზენი - ლებარდე - დიდი და ჭიფე ტობავარჩხილის ტბები - მდ. ჯონოლის ხეობა - სოფ. ჩქუმი;
14. სოფ. დობერაზენი - ლებარდე - სოფ. ხაჩეში;
15. სოფ. ჩქვალერი (ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი) - მდ. ინწრას კანიონი, მდ. ინწრას ჩანჩქერი, ინწრას მღვიმე - სოფ. ჩქვალერი;
16. სოფ. კურზუ. მდ ოჩხომურის კანიონი, მდ. ოჩხომურის ჩანჩქერი.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვის ბოლო კვირაში მოსული ნაადრევი თოვლისა და გაუარესებული ამინდების გამო შეუძლებელი გახდა წინასწარ დაგეგმილი რამოდენიმე მარშრუტების კვლევა და მარკირების პროექტის მომზადება. შესაბამისად მე-4 კვარტალში განხორციელდა შემდეგი მარშრუტების კვლევა:

1. სოფ. თაია (ოცინდალეს კომპლექსი) - წიფურიას ტაფობი - მიგარიის კირქვული მასივი (მწვერვალი მიგარია) - სოფ. ნაფიჩხოვო;
2. სქური - ქუაქანცალის მოქანავე ლოდი (ყვირას მთა, წალენჯიხა) - მდ. მაგანას ხეობა;
3. სოფ. ჩქვალერი (ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმი) - მდ. ინწრას კანიონი, მდ. ინწრას ჩანჩქერი, ინწრას მღვიმე - სოფ. ჩქვალერი;
4. სოფ. კურზუ. მდ ოჩხომურის კანიონი, მდ. ოჩხომურის ჩანჩქერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარ დაგეგმილ მარშრუტებს კვლევის განმავლობაში დაემატა შემდეგი მარშრუტები კვლევის არეალში (ყვირას მასივი, ასხის პლატო, ეგრისის ქედი). ესენია:

1. სოფ. თაია - ოცინდალეს მამათა მონასტერი - წიფურიას ტაფობი - სოფ. თაია
 2. სოფ. ნაფიჩხოვო - მწვერვალი მიგარია - სოფ. ნაფიჩხოვო
- აღნიშნული მარშრუტების კვლევის საფუძველზე იქნა შემდეგი სახის მასალა მოწოდებული:
- დაგეგმილ მარშრუტებზე ტურისტული ობიექტების იდენტიფიცირება და აღწერა;
 - ტურისტული მარშრუტების ოპტიმალური სვლა-გეზის დადგენა და ბილიკების დივერსიფიკაცია;
 - მარშრუტების კატეგორიზაციას სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით. ასევე, დამატებითი ინფორმაცია მარშრუტის დაფარვის საშუალებების შესახებ (ცხენი, მანქანა, 4X4);

- თითოეული მარშრუტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აღწერა;
- მარშრუტის GPS კოორდინატები;
- მარშრუტების ფოტო-მასალა;
- კვლევის შედეგად შერჩეული მარშრუტების მარკირების პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
- ✓ დაფებისა და ნიშნულების დიზაინს, შესაბამისი ნახაზებით, მოცულობებით (დიზაინი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან);
- ✓ დაფებისა და ნიშნულების განთავსების კოორდინატებს;
- ✓ დაფებისა და ნიშნულების მასალის აღწერას;
- ✓ დაფებისა და ნიშნულების დამონტაჟების პირობებს.

- **აგრო ტურიზმის პოტენციალის კვლევა - გურის რეგიონში**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება -ფარგლებში, მიმდინარე წლის 4 კვარტალში დაიგეგმა გურის რეგიონში აგროტურისტული პოტენციალის კვლევა. პროექტის ფარგლებში ჩოხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში გამოკვლეული იქნა შემდეგი აგრო ობიექტები:

- აგრარული პოტენციალის მქონე ობიექტები, რომელთაც გააჩნიათ შესაძლებლობა და სურვილი მიიღონ სტუმრები და გააჩნიათ აგროტურისტული ინფრასტრუქტურა: სუბტროპიკული ხილის, თხილის, ჩაის, თაფლის, თევზის, მწარმოებელი მეურნეობები;
- ღვინის მარნები, სადაც შექმნილია სათანადო პირობები სტუმრის მისაღებად, ინვენტარი ხარისხიანი პროდუქტი - ღვინო;
- განთავსების ობიექტები: საოჯახო სასტუმროები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი მცირე მეურნეობები და ტურისტს სთავაზობენ ადგილობრივ ბიოპროდუქტებს;
- კვების ობიექტები: ბიოპროდუქტითა და დამატებითი შეთავაზებები- თონე, თევზსაჭერი და სხვა.
- დამატებითი ტურისტული სერვისის მიწოდებლები: ნავით გასეირნება მდინარეებსა და ტბაზე, თევზაობა, ცხენით გასეირნება, მინერალური წყაროების დათვალიერება დაგემოვნება და სხვა.

კვლევის შედეგად მოწოდებულ იქნა შემდეგი სახის მასალა:

- მოკვლევის შედეგად გურის რეგიონში აღწერილი და შესწავლილი იქნა **56** აგრომეურნეობა, აქედან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში **19** აგრომეურნეობა, ოზურგეთში **30**, ხოლო ლანჩხუთში **7**. სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი მეურნეობებიდან აგროტურისტული თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა **27** მათგანი ყველა შესწავლილ ობიექტს სამუშაო ჯგუფის მხრიდან ადგილზე მიეცათ რეკომენდაციები ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, არსებული აგროტურისტული სერვისების დახვეწისა და სხვა ახალი მომსახურებების დამატების შესახებ, უნდა აღინიშნოს რომ, შესწავლილი მეურნეობების უმეტეს ნაწილში დაფიქსირდა მსგავსი პრობლემები, რაც ძირითადად ტურისტის მისაღებად არის საჭირო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობაში გამოიხატება, აღსანიშნავია ისიც , რომ თითქმის ყველა ობიექტის მფლობელი ნაკლებად არის გათვინობიერებული აგროტურიზმში, როგორც სოფლად დასვენების პერსპექტივა და ზოგადად ტურიზმზეც ზოგადი წარმოდგენა აქვთ, ამიტომ მომავალში საჭიროა მათი გადამზადება. ასევე მოწოდებულ იქნა მარშრუტებთან მისასვლელი გზების და თვით მარშრუტის GPS-ს ხელსაწყოთი აზომვა, ინფორმაციის მოწოდება ნებისმიერი GPS-ს ხელსაწყოებისთვის თავსებად gpx-ს ფაილად.;
- მოწოდებულია მასალა მარშრუტების კატეგორიზაციის სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით .
- მოწოდებულია მარშრუტების ფოტო და ვიდეო მასალა .

- რეკომენდაციები თითოეული ობიექტის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დამატებითი აგროტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროების შესახებ.

- **ინკლუზიური ტურიზმის პოტენციალის კვლევა - კახეთის რეგიონში**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება -ფარგლებში, მიმდინარე წლის 4 კვარტალში დაიგეგმა კახეთის რეგიონში ინკლუზიური ტურიზმის პოტენციალის კვლევა და შესაბამისი მარშრუტების განვითარება.

პროექტის ფარგლებში კვლევა განხორციელდა კახეთის რეგიონის სემდეგ მუნიციპალიტეტებში: თელავი, ყვარელი, სიღნაღი.

საკვლევ ობიექტებ წარმოადგენდნენ:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ეკლესია- მონასტრები, ციხეები და სხვა;
- განთავსების საშუალებები;
- კვების ობიექტები;
- ღვინის მარნები;
- სხვა ტურისტული ატრაქციები პარკი, ტბა, გასართობი ობიექტები და დამხმარე ტურისტული ინფრასტრუქტურა სანიტარული კვანძი და სხვა .

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი მასალა:

- აღნიშნული კვლევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფის მიერ ქალაქებში: სიღნაღი, თელავი, ყვარელი გამოვლინდა **47** სხვადასხვა დანიშნულებისა და ტურისტული მომსახურების ობიექტები: სასტუმროები, კვების ობიექტები, საოჯახო ტიპის სახლები, მარკეტი და სანიტარული ობიექტები . ასევე ადაპტირებული საქალაქო ტრანსპორტი.
- ქალაქ სიღნაღში_ 8 სასტუმრო, 13 საოჯახო ტიპის სასტუმრო, 15 რესტორანი, 4 კაფე, 2 მუზეუმი. 6 ეკლესია მონასტერი, 3 პარკი, ბულვარი, სიღნაღის თეატრი, ხალიჩების გალერეა.
- ქალაქ თელავში_ 14 სასტუმრო, 15 რესტორანი, 10 კაფე, 2 მუზეუმი, 6 ეკლესია მონასტერი, 9 ღვინის ქარხანა, ლოპოტას ტბა, ნადიკვარისა და ლოკოკინას პარკები, თეატრი, 1 სანიტარული კვანძი.
- ქალაქ ყვარელში_ 7 სასტუმრო. 6 რესტორანი, 2 კაფე, 9 ღვინის ქარხანა, 4 მუზეუმი, 6 ეკლესია
- სამივე მუნიციპალიტეტის მარშრუტები;
- მარშრუტში შემავალი თითოეული ობიექტის დეტალური აღწერა, სადაც წარმოდგენილია თითოეული ობიექტის ტურისტული ღირებულება და შშმ პირთათვის მისაღებად მზაობა,
- რეკომენდაცია თითოეული ობიექტისათვის მოსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნის საჭიროების შესახებ.
- მარშრუტში შემავალ ობიექტებთან მისასვლელი გზებისა და თვით ტურისტული ობიექტის GPS -ს მონაცემები, ინფორმაციის მოწოდება და ნებისმიერი GPS-ს ხელსაწყოებისთვის თავსებად GPS-ს ფაილად.
- მარშრუტებისა და მასში შემავალი ობიექტების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა. მარშრუტების კატეგორიზაცია სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით.

- **სათავგადასავლო ტურიზმის პოტენციალის კვლევა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში**

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულების - ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება - ფარგლებში დაიგეგმა სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება, კერძოდ კი, დაიგეგმა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სათავგადასავლო ტურისტული მარშრუტების განვითარება.

კვლევის არეალი მოიცავდა შემდეგ გეოგრაფიული ობიექტებს:

- გოხნარი
- სამშვილდე
- ქოსალარი
- წვერი
- კლდისი
- ბირთვისი

კვლევის შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი მასალა:

- კვლევის არეალში ტურისტული საფეხმავლო მარშრუტის აღწერა და რეკომენდირებული ტურისტული მარშრუტების გამოვლენა
- მარშრუტებზე ტურისტული ობიექტების (ტბები, ჩანჩქერები, კანიონები, კვების და ღამისთვის ობიექტები, საკემპინგე ადგილები, მეჯოგეთა სადგომები, სასმელი წყლის პუნქტების და სხვა.) აღწერა;
- მარშრუტების კატეგორიზაცია სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით. ასევე, დამატებითი ინფორმაცია მარშრუტებზე გადაადგილების საშუალებების შესახებ (ცხენი, მანქანა, ველოსიპედი, 4X4);
- მარშრუტებზე GPS კოორდინატები gpx ფორმატის ფაილში. ასევე სიმაღლის დონეები (ზღვის დონიდან).
- მარშრუტების ფოტო მასალა;
- კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები დამატებითი ექსტრემალური ტურისტული პროდუქტების - კანიონინგი, ველო მარშრუტები, ბოლდერინგი, სპორტული ცოცვა და ვია ფერატა - განვითარების პოტენციალთან დაკავშირებით. რეკომენდაციები მოიცავს GPS კოორდინატებს, კონსტრუქციისთვის საჭირო მასალებსა და ინვენტარებს, მარშრუტების კატეგორიზაციას სირთულისა და ხანგრძლივობის მიხედვით.
- კვლევის შედეგად შერჩეული მარშრუტების მარკირების პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ✓ დაფებისა და მანიშნებლების დიზაინს, შესაბამისი ნახაზებით, მოცულობებით (დიზაინი წინასწარ უნდა შეთანხმდეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან);
 - ✓ დაფებისა და ნიშნულების განთავსების GPS კოორდინატებს;
 - ✓ დაფებისა და ნიშნულების დამონტაჟების პირობებს.
 - ✓ დაფაზე დასატანი ინფორმაციის მოცულობასა და შინაარსს. (სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით)

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები

- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტსა და ქ. ამბროლაურში მდებარე საინფორმაციო ცენტრების დამატებითი ინვენტარით აღჭურვა

2012 წელს, ქალაქ ამბროლაურში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მეორე მომზადებული პროექტის მიხედვით აშენდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი. ცენტრის მშენებლობის თანხები ადგილობრივ თვითმმართველობას გამოეყო მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და მშენებლობა აწარმოა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა. ცენტრის პროექტი ითვალისწინებდა სტაციონალური (ჩასაშენებელი) ავეჯით აღჭურვას, თუმცა ცენტრს გამართული ფუნქციონირებისთვის ესაჭიროებოდა დამატებითი ინვენტარი. ვინაიდან, საინფორმაციო ცენტრი ექსპლუატაციაში შევიდა გასული წლის მე-4 კვარტალში, ჩვენი მხრიდან 2013 წლის ბიუჯეტში დაიგეგმა დამატებითი ინვენტარის შეძენა.

ასევე გასულ წელს ექსპლუატაციაში შევიდა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის შენობა, სადაც აეროპორტის ადმინისტრაციამ გამოეყო ფართი, გარკვეული ტიპის ნაგებობით (სტაციონალური დახლი) საინფორმაციო ცენტრის განსათავსებლად. ვინაიდან, გასულ წელს შიდა მოსპირკეთებელი სამუშაოები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა გარკვეული ინვენტარის შეძენისათვის საჭირო თანხა.

მომზადდა შესაძენი ინვენტარის ნუსხა და ნახაზები, რის მიხედვითაც გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვების წესის მიხედვით ტენდერი. განხორციელდა ორი ტიპის მომსახურების შესყიდვა (ავეჯი, სარეკლამო მანიშნები).

- *ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში მომსახურების გაუმჯობესება*

საქართველოს მამტაბით არსებული 18 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის გამართული ფუნქციონირების მიზნით, პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 1 კვარტალში მოხდა „შთაბეჭდილებების ყუთის“ დამზადება.

- *ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლებისთვის უნიფორმების დამზადება*

საქართველოს მამტაბით არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები ყოველდღიურად ემსახურებიან ქართველ თუ უცხოელ ტურისტებს, ამიტომ მათი ვიზუალური მხარე პრეზენტაბელური უნდა იყოს მომხმარებლისთვის. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის 3 კვარტალში მოხდა თანამშრომელთა უნიფორმის დამზადება.

- *ქ. თბილისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი*

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - მცირე ტურისტული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - ფარგლებში დაიგეგმა ქ. თბილისში, პუშკინის სკვერში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ჯიხურის (კონსტრუქციის) განთავსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტრუქციისათვის მომზადებული პროექტის მიხედვით (კონსტრუქციული და არქიტექტურული ნახაზები; ჯიხურის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოთა ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა) მიმდინარე წლის 4 კვარტალში სსიპ. ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გამოაცხადა სახელმწიფო შესყიდვის წესის მიხედვით გამარტივებული ტენდერი კონსტრუქციის დამზადება-განთავსებასთან დაკავშირებით.

ამავე კვარტალში მოხდა აღნიშნული საქონლისა და მომსახურების ჩაბარება; ჯიხურის თელასში გააბონენტება.

ასევე, მოხდა ცენტრისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზის ჩამონათვალის შედგენა, რომელიც დაიცო სხვადასხვა შესყიდვებით: ტექნიკა - კომპიუტერები, პრინტერი, ტელეფონის აპარატი, მონიტორი; ლოგოს მანათობელი კონსტრუქცია; ავეჯი - სავარძლები და სკამები, მცირე ზომის მაგიდები, თაროები, მაგიდის განათება, რეცეფციის დახლი, ბუკლეტების ჩასალაგებელი თაროები, კედლის და ვიტრაჟის ბანერები; დეკორაცია; სურათები და ჩარჩოები.

ზემოაღნიშნულ ჩამონათვალზე გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვის წესის მიხედვით გამარტივებული ტენდერები. თუმცა, სამწუხაროდ ძირითადი ნაწილი ტენდერებისა არ შედგა და ამ ეტაპზე შესყიდულია მხოლოდ სანათი, მონიტორი და 2 ცალი ფეხსაწმენდი.

- *საინფორმაციო ცენტრების თანამშრომელთა უნიფორმები*

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები. ცენტრის თანამშრომლები ყოველდღიურად ემსახურებიან ქართველ თუ უცხოელ ტურისტებს, ამიტომ მათი ვიზუალური მხარე პრეზენტაბელური უნდა იყოს მომხმარებლისთვის. აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის 4 კვარტალში მოხდა თანამშრომელთა უნიფორმის დამზადება შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით:

- უნიფორმის კომპონენტები: ქალის პიჯაკი, ქვედაბოლო, ჟილეტი. მამაკაცის პიჯაკი, ჯილეტი, შარვალი.
- უნიფორმის ქსოვილი: რბილი თხელი (შალნარევი წელვადი), ნაცრისფერი, ცისფერი ელემენტებით გაწყობილი.
- მამაკაცის პიჯაკი: ერთი ფერის (ნაცრისფერი) 2 ღილზე, თავისუფალი.
- შარვალი- ნაცრისფერი სწორი, ელვაზე.
- ჟილეტი- ნაცრისფერი 3 ღილზე.

- ქალის ჟილეტი-ნაცრისფერი ცისფერი ელემენტებით გაწყობილი, 2 ჯიბით, უკან ცისფერი კანტით, ოდნავ წელში გამოყვანილი.
- ქალის პიჯაკი გრძელ მკლავზე ნაცრისფერი, ცისფერი ზოლებით გაწყობილი, წელში გამოყვანილი, 3 ღილაკი.
- ქალის ქვედაბოლო-ნაცრისფერი, ცისფერი კანტით ზედა ნაწილი სწორი, ელვაზე.

საქონლის რაოდენობა:

- 2-მამაკაცის პიჯაკი
- 2-მამაკაცის შარვალი
- 2-მამაკაცის ჟილეტი
- 3-ქალის ჟილეტი
- 3- ქალის ქვედაბოლო
- 3-ქალის პიჯაკი

• სარეკლამო ბეჭდვითი მასალა

მიმდინარე წლის 4 კვარტალში საქართველოში ფუნქციონირებადი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებისათვის დაიბეჭდა 48 დასახელების სარეკლამო მასალა (საქართველოს ზოგადი ბროშურა, პროდუქტების ბროშურა, საფეხმავლო მარშრუტების რუკები, საინფორმაციო ფურცლები და რეგიონალური ტურისტული რუკები -ინგლისური, რუსული, ესპანური და ქართულენოვანი).

ღონისძიებების ორგანიზება

• კულტურული ღონისძიება - „იმპროვიზირებული ლამპრობა“

სვანეთის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილის, პოპულარიზაციის მიზნით, დაბა მესტიაში დაიგეგმა კულტურული ღონისძიების „იმპროვიზირებული ლამპრობის“ ორგანიზება.

პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 2 მარტს მესტიაში, კერძოდ ჰაწვალის სათხილამურო ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა „იმპროვიზირებული ლამპრობის“ ღონისძიება, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სვანეთის რეგიონის ტურისტული რესურსისა და პროდუქტის პოპულარიზაცია, რაც მოიცავდა ადგილობრივი ადათ-წესებისა და ფოლკლორის გაცნობასა და სამზარეულოს დაგემოვნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჰაწვალის სათხილამურო ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სპეციალური სივრცე, სადაც განთავსდა 100 ცალი ანთებული ლამპარი და დიდი კოცონი.

სივრცის ნაწილი დაეთმო სვანური სამზარეულოს კუთხეს. 6 მეტრიან სხვადასხვა დეკორაციით გაწყობილ მაგიდაზე წარმოდგენილი იყო ტრადიციული სამზარეულო, კერძოდ: კუბდარი, ჭვიშდარი, ხაჭაპური, ყველის ასორტი, შოთის პური, სეზონური ხილის ასორტი, ჩურჩხელა და ჩირის ასორტი. აქვე, მიმდინარეობდა სვანური ელარჯის „თაშიჯაბის დამზადების პროცესი. სტუმრების გამასპინძლება, ასევე მოხდა სათხილამურო კურორტისათვის დამახასიათებელი ცხელი სასმელებით (გლინტვეინი- რომელიც იქვე იხარშებოდა და ცხელი შოკოლადი) და სხვადასხვა ხილის წვენებით.

ღონისძიების მსვლელობის დროს სტუმრებს საშუალება მიეცათ არამარტო დაეგემოვნებინათ ადგილობრივი სამზარეულო, არამედ გაცნობოდნენ სვანურ ფოლკლორს. ღონისძიებაზე წარმოდგენილმა ადგილობრივმა ფოლკლორულმა ჯგუფმა სპეციალურად დადგმული ნომრის საშუალებით წარმოადგინა სვანური სიმღერა და ცეკვა, რომელიც მიმდინარეობდა ადგილობრივი ტრადიციული მუსიკალური ინსტრუმენტების ჟღერადობის ფონზე.

ღონისძიება დაახლოებით 100 ადამიანზე იყო გათვლილი (თუმცა, გაცილებით მეტი დაესწრო) და მას ესწრებოდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ჩამოსული სტუმრები. ჯამში ღონისძიებამ დაახლოებით 3 საათს გასტანა.

• კულტურული ღონისძიება - ქართული ცეკვის საღამო

მიმდინარე წლის 6 ივლისს ქუთაისში, სამეფო უბნის პარკში გაიმართა კულტურული ღონისძიება - „ქართული ცეკვების საღამო“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა

მსურველს, რომლებიც სწავლობდნენ მისთვის სასურველ ცეკვას. ეს ცეკვები იყო: „აჭარული“, „ლაზური“, „მთიულური“ და „კინტაური“. მასტერკლასები გაგრძელდა დაახლოებით 3 საათი, რის შემდეგაც დაიწყო კონკურსი მონაწილეებს შორის. მონაწილეობას ღებულობდა 18 მოყვარული, რომლებმაც ინდივიდუალურად და წყვილში წარმოადგინეს 3-5 წუთიანი საცეკვაო ნომერი. ჯიურმა გამოავლინა 3 ფინალისტი, რის საფუძველზეც დამსწრე საზოგადოებამ აარჩია ერთი გამარჯვებული. ღონისძიება დაასრულა ფოლკლორული მუსიკის და ცეკვის ანსამბლების კონცერტმა. ცეკვის ანსამბლმა წარმოადგინა 5 საცეკვაო ნომერი („სადარბაზო“ „განდაგანა“, „მიპატიჯება/ოსური“, „ფხოური“, „რაჭული“) და მუსიკოსებმა შეასრულეს 7 სიმღერა. ღონისძიება გაგრძელდა 19:00 საათამდე და მას ესწრებოდა 150-მდე ადგილობრივი თუ ჩამოსული ვიზიტორი.

- *ველო მარათონი გუდაურში*

მიმდინარე წლის 13 ივლისს, დაბა გუდაურში მოეწყო სპორტული ღონისძიება - „ველო მარათონი“. პროექტის ძირითადი მიზანი იყო სათავგადასავლო ტურიზმის, კერძოდ ველო-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია საქართველოში და ასევე, დაბა გუდაურისათვის, სეზონურობის გაზრდის მიზნით, ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა. ღონისძიება მიმდინარეობდა რამოდენიმე ეტაპად:

12:00 – 15:00 - ‘ველო მარათონი’ მოყვარულთათვის

მარათონში მონაწილეობა მიიღო 42-მა მონაწილემ. მათი მთავარი ამოცანა იყო რაც შეიძლება მოკლე დროის მონაკვეთში დაეფარათ სპეციალურად შეჯიბრისათვის მოწყობილი, მარკირებული 4 კმ.-იანი მონაკვეთის (სტარტი: სასტუმრო „მარკოპოლო“ - ფინიში: კაიშაურის ტბა). წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე გზაზე ველო მრბოლელების უსაფრთხოება უზრუნველყო ყაზბეგის რეგიონის საპატრულო პოლიციამ. ასევე, ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების მანქანა.

მას შემდეგ რაც მონაწილეებმა გაიარეს საცდელი დაშვება, ისინი დაიყვნენ 6 კაციან ჯგუფებად და დაეშვნენ 3 წუთიანი ინტერვალებით. კაიშაურის ტბაზე განთავსებული იყო სპეციალური ყიური, რომელმაც აღრიცხა ყველა მონაწილის დრო და გამოვლინდა მარათონის გამარჯვებული.

15:30 – 16:00 საათი - საჩვენებელი შოუ ღონისძიების დამსწრეებისათვის

კაიშაურის ტბაზე, სადაც ღონისძიების ყველა დამსწრემ მოიყარა თავი, მოეწყო საჩვენებელი შოუ, რომელშიც პროფესიონალებმა მიიღეს მონაწილეობა. შოუს მსვლელობისას პროფესიონალებმა გადალახეს სირთულის ბარიერები.

16:00 – 18:00 საათი - პიკნიკი ღონისძიების მონაწილეთათვის და დამსწრე საზოგადოებისათვის

პიკნიკი მოეწყო მუსიკის თანხლებით. იგი გათვლილი იყო დაახლოებით 100 ადამიანზე. პიკნიკის დროს მოხდა მონაწილეების სიგელებით დაჯილდოება. პირველი ადგილის მფლობელს გადაეცა 100 ლარიანი ვაუჩერი სპორტული მაღაზიათა ქსელისგან - Xtreme.

- *კულტურული ღონისძიება - საზამთროს ფესტივალი*

მიმდინარე წლის 27 ივლისს ქ. სიღნაღში მოეწყო „საზამთროს ფესტივალი“. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა გასართობი აქტივობები, რომლებიც გაიმართა მთავარ მოედანზე (მუნიციპალიტეტის შენობასთან). ტერიტორია მორთული იყო ბუმტებით და ფერადი ალმებით. მონაწილეებს დაურიგდათ ფესტივალის ბრენდირებული მაისურები და კეპები. საზამთროს ფესტივალის სახელწოდებით რკინის კონსტრუქციის ბანერი განთავსდა მოედნის შესასვლეთან.

მუნიციპალიტეტის შენობის წინ განთავსებულ დახლებთან სტუმრებს შეეძლოთ დაეგემოვნებინათ საზამთრო, საზამთროს ფრეში. აქვე, მხატვარ დეკორატორები მუშაობდნენ საზამთროზე და ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ფიგურებს. გამგეობის მოპირდაპირე მხარეს განთავსებული იქნება ქართული ხელნაკეთი ნიმუშები და სუვენირები. ტერიტორიაზე ბავშვებს ართობდნენ ქართული ზღაპრის გმირები.

ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იყო ფოტო სტენდი - სადაც სტუმრებს, თავის გასაყოფ ბანერთან, ფოტოების გადაღების საშუალება მიეცათ. აქვე, იყვნენ წარმოდგენილები “ზოდი არტის“ სპეციალისტები, რომლებიც ნებისმიერ მსურველს უხატვდნენ სახესა და ტანს.

დღის განმავლობაში ღონისძიების წამყვანმა სტუმრებს წარუდგინა სხვადასხვა თამაშობები, რომლებშიც მონაწილეობის მიღება ყველა მსურველმა შეძლო. გაიმართა შემდეგი თამაშობები: სირბილი საზამთროთი, ისრის სროლა საზამთროსთვის, შეჯიბრი საზამთროს ჭამაში, შეჯიბრი საზამთროს აზიდვაში, კვლევი საზამთროთი და სხვა.

გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები და საზამთროები. თამაშების შემდეგ საღამო დასრულდა ინტერაქტიული კონცერტით - სპეციალურად მოწყობილ სცენაზე მუსიკის თანხლებით 2 ანიმატორი დამსწრე მსურველ ბავშვებს ასწავლიდა წინასწარ დადგმულ ცეკვას.

- *ფოტო ტური თუშეთში*

მიმდინარე წლის 13-15 სექტემბერს თუშეთის როგორც ტურისტული ადგილის პოპულარიზაციას და შიდა ტურისტული ნაკადის ზრდის მიზნით გაიმართა ღონისძიება „ფოტო ტური.“

ღონისძიება მოყვარულ ფოტოხელოვანებზე იყო გათვლილი და მასში მონაწილეობა მიიღო 25 ფოტო მოყვარულმა. მონაწილეთა შერჩევა მოხდა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური ქსელის მეშვეობით. ღონისძიების ფარგლებში გამოცდილი გიდის - თეიმურაზ პოპიაშვილის - თანხლებით მონაწილეებმა მოინახულა თუშეთის შემდეგი სოფლები: ალვანი, ომალო, დანო, კვაკლო და დართლო, შენაქო და დიკლო. 3 დღიანი ტურის განმავლობაში ზეაღნიშნულ ლოკაციებში გაიმართა ფოტოგრაფიის მასტერკლასები, რომელიც ჩაატარეს პროფესიონალმა ფოტოგრაფებმა საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციიდან. მონაწილეები გაეცნენ ადგილობრივ ბუნებას, კულტურასა და ადათწესებს და ყოველივე ეს აღბეჭდეს ფოტოზე. ტურის პერიოდში გადაღებული ფოტოები გადმოეცა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შემდგომი გამოყენების მიზნით.

- *ფოტო ტური ხევსურეთში*

მიმდინარე წლის 20-22 სექტემბერს შატილის როგორც ტურისტული ადგილის პოპულარიზაციას და შიდა ტურისტული ნაკადის ზრდის მიზნით გაიმართა ღონისძიება „ფოტო ტური.“

ღონისძიება მოყვარულ ფოტოხელოვანებზე იყო გათვლილი და მასში მონაწილეობა მიიღო 23 ფოტო მოყვარულმა. მონაწილეთა შერჩევა მოხდა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური ქსელის მეშვეობით. ღონისძიების ფარგლებში გამოცდილი გიდის - ზაზა გაგუას- თანხლებით მონაწილეებმა მოინახულა ხევსურეთის შემდეგი სოფლები: გუდანი, შატილი, არღუნის ხეობა, ანატორი, მუცო, არდოტი. 3 დღიანი ტურის განმავლობაში ზეაღნიშნულ ლოკაციებში გაიმართა ფოტოგრაფიის მასტერკლასები, რომელიც ჩაატარეს პროფესიონალმა ფოტოგრაფებმა საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაციიდან. მონაწილეები გაეცნენ ადგილობრივ ბუნებას, კულტურასა და ადათწესებს და ყოველივე ეს აღბეჭდეს ფოტოზე. ტურის პერიოდში გადაღებული ფოტოები გადმოეცა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შემდგომი გამოყენების მიზნით.

- *ზაფხულის სეზონზე ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია*

ზაფხულის სეზონზე ტურისტულად მიმზიდველი ადგილების პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მიმდინარე წლის 9 აგვისტოდან - 29 სექტემბრის ჩათვლით, განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მიმზიდველი ტურისტული ადგილების პოპულარიზაციას, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში ტურისტულად დატვირთულ ადგილებში არსებობდა მობილური ჯგუფები, რომლებიც, გამოირჩეოდნენ ბრენდირებული ჩაცმულობით (ბრენდირებული მაისური თეთრი ფერის; კეპი თეთრი ფერის; ბრენდირებული ტილოს ჩანთა თეთრი ფერის); აღჭურვილნი იყვნენ შესაბამისი ბეჭდვითი საინფორმაციო-სარეკლამო მასალით და ტურისტებს უზრუნველყოფდნენ მათთვის საჭირო ინფორმაციით. მობილური ჯგუფები დაკომპლექტდა ჯამში 8 ადამიანით.

მობილური ჯგუფები დაკომპლექტდა სტუდენტებით, რომელთა შერჩევა მოხდა გასაუბრების საფუძველზე.

- ღვინის საერთაშორისო კონფერენცია

მიმდინარე წლის 15-16 მარტს ხორვატიაში ქ. ზაგრებში კომპანია Wine Pleasures“-ის ორგანიზებით ჩატარდა ღვინის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ყოველწლიური ხასიათისაა და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ღვინის ტურიზმის სექტორში. კონფერენციის ფარგლებში 350-მდე პროფესიონალი მსოფლიოს 30-მდე ქვეყნიდან იკრიბება სწრაფად მზარდი ღვინის ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული საკითხების, სიახლეებისა და ტენდენციების განსახილველად.

ზემო აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო საქართველო ზაგრებში და ამავდროულად მიეცა შესაძლებლობა გამხდარიყო 2014 წელს დაგეგმილი კონფერენციის მასპინძელი.

საქართველოში, როგორც 2014 წლის კონფერენციის მასპინძელი ქვეყანაში, მ/წლის 26-29 მარტს იმყოფებოდა კონფერენციის ორგანიზატორი კომპანიის - „Wine Pleasures“ წარმომადგენელი.

ვიზიტის ფარგლებში, ქვეყანაში არსებული ღვინის ტურიზმის პოტენციალის გაცნობის მიზნით, მოხდა კახეთში ღვინის ტურიზმის ობიექტების მონახულება და ასევე 2014 წლის კონფერენციის წარმომადგენელთათვის ქ. თბილისის სასტუმროებიდან ერთ-ერთის შერჩევა. ასევე მიმდინარეობდა საქმიანი შეხვედრები ქვეყნის ღვინისა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. აღნიშნული ვიზიტის ორგანიზება მოხდა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ.

- სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების „კაიაკინგი“ განვითარების მიზნით მე-2 და მე-3 კვარტალში გახორციელდა მდ. მტკვრისა, მდ. არაგვის, მდ. აბაშის, მდ. ტეხურის, აბაშას, აჭარისწყალის და ჭოროხის კვლევა, რის შედეგადაც შეიქმნა აღნიშნული მდინარეების მარშრუტები, ტოპოგრაფიული რუკები და გზამკვლევების საბეჭდი ფაილი.
- მიმდინარე წლის 21-23 ივნისს, ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დაბა ასპინძაში ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის „კულტურულ-სპორტული“ ღონისძიება. ღონისძიების ძირითად მიზანს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება, ტურიზმის სფეროში ჩართვა და ინკლუზიური ტურიზმის შესახებ საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლება. ღონისძიებაში მონაწილეობა ჯამში 104 ადამიანმა მიიღო (აქედან: 53 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 51 თანმხლები პირი), რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად დაიყო:
 - ✓ მენტალობის მსუბუქი ან საშუალო ხარისხის შეზღუდვის მქონე - 23 ადამიანი + 21 თანმხლები პედაგოგი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, არსებული რეგისტრირებული ყველა სპეციალიზირებული სკოლიდან.
 - ✓ ეტლით მოსარგებლე - 30 ადამიანი + 30 თანმხლები პირი - როგორც რეგიონში, ასევე თბილისში რეგისტრირებული სპეციალიზირებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაციიდან.
- მ.წ. 29 ივნისს ახალციხეში, „რაბათის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა კულტურული ღონისძიება სახელწოდებით „კოსტუმირებული თეატრალური წარმოდგენა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა დამსვენებელთათვის ისტორიული ფაქტებისა და გმირების გაცოცხლება.

- **კულტურული ღონისძიება - ღვინის ფესტივალი**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულების - ტურისტული პროექტები და ღონისძიებები - ფარგლებში მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, ღვინის ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა „ღვინის ფესტივალის“ ორგანიზება ქ. თელავში.

ღონისძიება ჩატარდა 19 ოქტომბერს ქ. თელავში, კერძოდ ნადიკვარის პარკის ტერიტორიაზე 14:00-დან - 19:00 საათის ჩათვლით.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს: ქართული ღვინის მწარმოებლებმა, რომლებმაც სტუმრებს წარუდგინეს როგორც ქვევრის, ასევე ქარხნული წესით დამზადებულ ღვინოები. წარმოდგენილი იქნა

სამონასტრო ღვინოც; ღვინოსთან ასოცირებული საკვები პროდუქტის მწარმოებლები (ქართული ყველი, თაფლი, პური, ჩურჩხელა).

ფესტივალის ფარგლებში ნადიკვარის პარკში, წინასწარ შერშეულ ტერიტორიაზე სპეციალური თანმიმდევრობით განთავსდა სხვადასხვა კატეგორიის მონაწილეთა დახლი, სადაც სტუმრებს საშუალება ქონდათ დაეთვალთვალებინათ და დაეგემოვნებინათ წარმოდგენილი პროდუქცია. აქვე, განთავსდა ქართული ყველის სადგეუსტაციო დახლი. ფესტივალის დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცათ თვალი ედევნებინათ თიხის ჭურჭლის დამზადების პროცესისათვის და მონაწილეობა მიეღოთ ჩურჩხელის ამოვლებაში.

ფესტივალის ყველა მონაწილე წარმოდგენილი იქნა ერთიანი სტანდარტიზებული სტილით და ესთეტიკით (ბრენდირებული წინსაფრები). მონაწილეები აღჭურვილნი იყვნენ სადგეუსტაციო ინვენტარით და აქსესუარით.

ფესტივალის ვიზიტორებისთვის ტერიტორიაზე განთავსდა სადგეუსტაციო მაგიდები (კასრები) და ჩამოსაჯდომები (თივის ტუკები). ტერიტორია შემოსაზღვრა ხის ჯებირებით.

- **სპორტული ღონისძიება - ბაკურიანი სეზონის გახსნა**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ტურისტული პროექტები და ღონისძიებები - ფარგლებში მიმდინარე წლის 25 დეკემბერს დაბა ბაკურიანში დაიგეგმა სპორტული ღონისძიების - „ზამთრის სეზონის გახსნა“ ორგანიზება.

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ბაკურიანის, როგორც საბავშვო-საოჯახო ზამთრის კურორტის პოპულარიზაცია და ასევე, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული ნაკადის ზრდა.

ღონისძიება ჩატარდა ბაკურიანის პარკის ტერიტორიაზე, რომელიც მოირთო სადღესასწაულო დეკორაციით. ტერიტორიის შესასვლელში განთავსდა ხის ღობე და არკა. აქვე სპეციალურად გამოყოფილი იქნა სივრცე, სადაც სპეციალურ ხის დახლებზე ბარმენებმა მოამზადეს გლინტვეინი, ცხელი შოკოლადი და ვაშლი ამოვლებული კარამელში და გაუმასპინძლდნენ ღონისძიების სტუმრებს.

ღონისძიება დაიწყო 2 საათზე და გაგრძელდა საღამოს 8 საათამდე. დღის განმავლობაში გაიმართა სხვადასხვა სახის შეჯიბრებები პარალელურ რეჟიმში: გუნდის მიზანში სროლა, კეგლი, თოკის გაწევა, რომელმაც 1 საათს გასტანა. აღნიშნული თამაშები გუნდური ხასიათის იყო და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეეძლო. მსურველები დაიყვნენ ჯგუფებად და შეჯიბრის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები. მოგვიანებით, გაიმართა შეჯიბრება ციგით სრიალში, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას წინასწარი რეგისტრაციის საშუალებით. აღნიშნულმა შეჯიბრებამ დაახლოებით 1 საათს გასტანა. ფინიშის ხაზთან განთავსებული იყო ჯიური, რომელმაც აღრიცხა თითოეული მონაწილის დაშვების დრო და გამოავლენა გამარჯვებული. ღონისძიება გაგრძელდა მორიგი ჯგუფური შეჯიბრებით - „ყველაზე ლამაზი თოვლის პაპა“. მონაწილეების დაევალებათ გაეკეთებინათ ყველაზე გამორჩეული "თოვლის პაპა" (საჭირო მასალით წინასწარ იყვნენ უზრუნველყოფილნი). ჟიურიმ წინასწარ შერჩეული კრიტერიუმებით შეაფასა მონაწილეების ნამუშევრები და გამოავლენა გამარჯვებული. აღნიშნული აქტივობა გაგრძელდა 2 საათი. თითოეული შეჯიბრების პრიზიორები ღონისძიების ბოლოს დაჯილდოვდნენ ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ წინასწარ მომზადებული სასაჩუქრე ნაკრებით.

ღონისძიების ბოლოს გაიმართა ნაძვის ხის სახალხო მორთვა მუსიკალური გაფორმების ფონზე. ღონისძიებაზე დამსწრეებს დაურიგდათ შუმხუნები და ღონისძიება დასრულდა 5 წუთიანი ვეიერვერკით.

- **სპორტული ღონისძიება - მესტიის სეზონის გახსნა**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ტურისტული პროექტები და ღონისძიებები - ფარგლებში მიმდინარე წლის 29 დეკემბერს მესტიაში დაიგეგმა სპორტული ღონისძიების - „ზამთრის სეზონის გახსნა“ ორგანიზება.

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო მესტიის, როგორც ზამთრის კურორტის პოპულარიზაცია და ასევე, შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული ნაკადის ზრდა.

ღონისძიება ჩატარდა ჰაწვალის პარკის ტერიტორიაზე და მიმდინარეობდა დილის 10:00 საათიდან და საღამოს 18:00 საათამდე. დღის პროგრამა გამოიყურება შემდეგნაირად:

I ნაწილი - შეჯიბრი სამთო-სათხილამურო სპორტში სპორტსმენებს შორის
შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 50 სპორტსმენმა (ქალები და ვაჟები) სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიებიდან. შეჯიბრისთვის წინასწარ მომზადებულ ტრასაზე, სპორტსმენები ერთიან ბრენდირებულ ფორმებში ასპარეზობდნენ.

ჰაწვალის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სპეციალური ჟიური, რომელმაც შეაფასა ყველა მონაწილის დაშვება და გამოავლინა შეჯიბრის გამარჯვებული.

II ნაწილი - შეჯიბრი სამთო-სათხილამურო სპორტში მოყვარულებს შორის
ჰაწვალზე, შეჯიბრისთვის წინასწარ მომზადებულ ტრასაზე, 40 მოყვარულ სპორტსმენს შორის გაიმართა შეჯიბრება. 30 მონაწილის შერჩევა მოხდა წინასწარ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური ქსელის მეშვეობით. დარჩენილი 10 ადგილი შეივსო მესტიის ადგილობრივი მოყვარული მოთხილამურეებით.

III ნაწილი - ღონისძიების დახურვა
ღონისძიების დასასრულისკენ გაიმართა შეჯიბრებებში გამარჯვებულების დაჯილდოება, რომელთაც გადაეცა ადმინისტრაციისგან სიგელი, მედალი და წლევეანდელი სეზონის სლალომის სპორტული თხილამურები. ჰაწვალის ტერიტორიაზე რესტორანი ზურულდის ტერასაზე საღამო გააფორმა აჩიკო გულედანის კონცერტმა. აქვე იყო სივრცე ცხელი სასმელებისთვის (გლინტკეინი). ღონისძიების ბოლოს გაიმართა ფეიერვერკი. ღონისძიება დაასრულა საჩვენებელმა დაშვებამ, რომლის ფარგლებში 40მდე მოთხილამურე დაეშვა ჩირაღდნებით ჰაწვალის ტრასაზე.

- **ტურისტული პერსონაჟი მასკოტი**

სსიპ. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2013 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებების - ინფრასტრუქტურული პროექტები - ფარგლებში დაიგეგმა პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში და ღირშესანიშნაობებთან საინფორმაციო-სარეკლამო ბანერების განთავსება.

პროექტის პირველი ეტაპი განხორციელდა მიმდინარე წლის 4 კვარტალში და მის ფარგლებში შეიქმნა ტურისტული პერსონაჟი (მასკოტი), რომელის განთავსებაც შემდგომში უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ დაფებზე. მსგავსი ტიპის პერსონაჟების გამოყენება საინფორმაციო დაფებზე მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა, რადგან მასკოტის სახასიათო ვიზუალური მხარე ახალისებს მნახველს და უადვილებს ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებას.

პროექტის ფარგლებში მოხდა შემდეგი ტიპის მომსახურების შესყიდვა:

1. ეტაპი:

- შეიქმნა მასკოტის 3 ვიზუალი (ტურისტულად ჩაცმული), რომელთაგან საბოლოოდ შეირჩა ერთი;
- მოწოდებულ იქნა მასკოტის სახელის 3 ვერსია, გამრატება თუ რა სახით განმარტოს რა სახით მოახდენს პერსონაჟი კომუნიკაციას და მასკოტის დახასიათება.

2 ეტაპი:

- პერსონაჟი მოწოდებულ იქნა ფერადი ესკიზის სახით ვექტორში;
- მოხდა პირველ ეტაპზე შერჩეული მასკოტის ესკიზური ნახატების შექმნა საქართველოს რეგიონების მაიდენტიფიცირებელი და ასევე ტურისტული აქტივობების ამსახველი აქსესუარების გამოყენებით. კერძოდ:

- 1) მთავარი პერსონაჟი, მოძრავი, მეტყველი სახით
- 2) პერსონაჟი ციგით;
- 3) პერსონაჟი თხილამურით;
- 4) პერსონაჟი ხევესურეთში;
- 5) პერსონაჟი თუშეთში;
- 6) პერსონაჟი სვანეთში;

- 7) პერსონაჟი აჭარაში;
- 8) პერსონაჟი რაჭაში;
- 9) პერსონაჟი კახეთში;
- 10) პერსონაჟი იმერეთში;
- 11) პერსონაჟი ალპინისტი;
- 12) პერსონაჟი მეთევზე;
- 13) პერსონაჟი მოჯომაარდე;
- 14) პერსონაჟი წყაროსთან.

- **ღვინის ტურიზმის პოპულარიზაცია**

მიმდინარე წლის 4 კვარტალში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის რეგიონალური განვითარების განყოფილების მიერ განხორციელდა პროექტი. რომლის ძირითადი მიზანი იყო ღვინის ტურიზმის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა.

პროექტი რამოდენიმე ეტაპად დაიყო: სარეკლამო რგოლის მომზადება; ადმინისტრაციის სახელობითი, სასაჩუქრე ღვინოების ჩამოსხმა; გარე მეხსიერების შექმნა.

1. **ეტაპი: სარეკლამო ვიდეო რგოლის მომზადება**

სარეკლამო ვიდეო რგოლში ასახული იყო რთველის, როგორც ღვინის ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის პროცესი. მასში მონაწილეობას მიიღეს, როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ასევე „ფეისბუქის“ საშუალებით შერჩეულმა ადამიანებმა.

ვიდეო რგოლის გადაღებამდე ადმინისტრაციის ფეისბუქის გვერდზე დაიდო სპეციალური დავალება - „მოიფიქრეთ სლოგანი ღვინის ტურიზმისათვის“. სლოგანის შემოთავაზება შეეძლო ნებისმიერ მსურველს. მოწოდებული სლოგანებიდან შეირჩა 4 საუკეთესო, რომლის ავტორებსაც საშუალება მიეცემათ მიიღონ მონაწილეობა ვიდეო რგოლში.

აღნიშნული ვიდეო რგოლი 1,54 წამოანია და მისი გავრცელება მოხდა ფეისბუქ გვერდის საშუალებით. ასევე დაგეგმილია ვიდეო რგოლის გავრცელება ადმინისტრაციის სახელობითი, სასაჩუქრე ღვინოებთან ერთად.

2. **ეტაპი: ადმინისტრაციის სახელობითი სასაჩუქრე ღვინოების დამზადება**

პროექტის მეორე ეტაპზე განხორციელდა ადმინისტრაციის სახელობითი სასაჩუქრე ღვინის ჩამოსხმა. სულ 1000 ბოთლი სპეციალური შეფუთვით (ყუთით). ღვინის ბოთლის ეტიკეტისა და ყუთისათვის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური დიზაინი, რომელზეც ძირითად ინფორმაციასთან ერთად განთავსებულ იქნა სპეციალურ დავალებაში - „მოიფიქრეთ სლოგანი ღვინის ტურიზმისათვის“ გამარჯვებული 4 საუკეთესო სლოგანი (ავტორის მითითებით).

ღვინის ჩაბარება მოხდა შემდეგი ტექნიკური დეტალების მიხედვით:

ღვინის სახეობა: წითელი მშრალი, ალკოჰოლის შემცველობა არანაკლებ 12 გრადუსისა;

რაოდენობა: 1000 ბოთლი;

ბოთლის ზომა: 0,75;

ეტიკეტი: ადმინისტრაციის დიზაინის მიხედვით სტიკერზე დაბეჭდილი; მინიმალური ინფორმაციით: ალკოჰოლის შემცველობის, მოსავლის წლის და ღვინის ტიპის შესახებ.

ბოთლის ჩასადები ყუთი: ადმინისტრაციის დიზაინის მიხედვით, სტანდარტული ზომის მუყაოს ყუთი კანაფის სახელობით. მინიმალური ინფორმაციით: ალკოჰოლის შემცველობის, მოსავლის წლის და ღვინის ტიპის შესახებ.

ბოთლის საცობი: კორკი, ჩაჩით

მხარეთა უფლება-მოვალეობანი: მომწოდებელმა საქონლის ჩაბარებისას წარმოადგინა პროდუქციის შესახებ ლაბორატორიული დასკვნა აკრედიტირებული ლაბორატორიიდან.

2. ეტაპი: ბრენდირებული გარე მეხსიერების („ფლეშკის“) დამზადება

პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა 500 ცალი 4 GB მოცულობის გარე მეხსიერება, მოკლე საკიდით, ადმინისტრაციის ლოგოთი, ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დიზაინით. აღნიშნულ გარე მეხსიერებაზე მოხდება სარეკლამო ვიდეო რგოლის განთავსება და სასაჩუქრე ღვინოსთან ერთად გავრცელება.

- თურქეთში, ქ. სტამბულში გაიმართა „შავი ზღვის ტურიზმის სამიტი“, სადაც შავი ზღვის რეგიონების ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:
 - ✓ ტურიზმის როლი გლობალურ ეკონომიკაში, მდგრადი განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა;
 - ✓ შავი ზღვის რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდა;
 - ✓ ინვესტიციების წახალისება;
 - ✓ მარკეტინგი;
 - ✓ განათლება;
 - ✓ სავიზო პროცედურების გამარტივება.

• ესპანეთში, ქ. მადრიდში გაიმართა ოფიციალური შეხვედრა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალურ მდივანთან ტალეზ რიფაისთან, აგრეთვე დარგობრივი პროგრამების ხელმძღვანელებთან, რომლებმაც წარადგინეს შესაბამისი პრეზენტაციები.

შეხვედრაზე განხილულ საკითხებს შორის იყო:

- ✓ საქართველოსა და მტო-ს შორის მჭიდრო თანამშრომლობა;
- ✓ საქართველოს ახალი მთავრობის ძირითადი ეკონომიკური კურსი;
- ✓ გაიჟღერა შემოთავაზებამ საქართველოში ჩატარდეს მინისტრების სამიტი საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ტურიზმის სფეროზე პასუხისმგებელი მინისტრების მონაწილეობით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ შემოგვთავაზა დახმარება ხსენებულის ორგანიზებაში;
- ✓ მტო-ს საქმიანობის მიმართულებები და პროექტები;
- ✓ ტურიზმის მსოფლიო ტენდენციები;
- ✓ მტო-ს ეგიდით მიმდინარე ღონისძიებები (რეგიონალური კომისია იზმირში, ITB Berlin-ის ფარგლებში აბრეშუმის ქვეყნების მინისტრების შეხვედრა; გენერალური ასამბლეა და სხვა);
- ✓ მტო-ს ეგიდით ევროპის რეგიონში დაგეგმილი ტრენინგები, სემინარები და კონფერენციები (მაგ. სტატისტიკის ტრენინგი; სემინარი პროგნოზირებისა და დასაქმების მაჩვენებლების დათვლის შესახებ);
- ✓ Tourism Towards 2030 გამოცემის მომზადებაში საქართველოს მონაწილეობა;
- ✓ ღვინის კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც იმართება მოლდოვაში მტო-ს ეგიდით;
- ✓ განყოფილების საქმიანობის ზოგადი გაცნობა;
- ✓ ტურიზმის სატელიტური ანგარიში და მისი წარმოება წვერი ქვეყნების მიერ;
- ✓ მტო-ს რეკომენდაციები სტატისტიკისა და სატელიტური ანგარიშის წარმოების შესახებ;
- ✓ მტო-ს ტრენინგები სტატისტიკაში;
- ✓ ახალი უფასო ელექტრონული კურსი, რომელიც მალე განთავსდება მტო-ს ვებგვერდზე "Understanding the role of tourism in the national economy" ;
- ✓ მტო-ს ახალი გამოცემები, რომლებიც ეგზავნება ტურიზმის ადმინისტრაციებს და განთავსებულია ელექტრონულ ბიბლიოთეკაში;
- ✓ საქართველოს შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც წარმატებული მაგალითის სავიზო რეჟიმის გამარტივების კუთხით;
- ✓ საქართველოში მარკეტინგის სემინარის ჩატარების შესაძლებლობის განხილვა;
- ✓ ელექტრონული მარკეტინგის სემინარი, ხორვატია, ოქტომბერი, 2013;
- ✓ ტექნიკური პროგრამის მოკლე მიმოხილვა;

- ✓ საქართველოსთან თანამშრომლობის გზები;
 - ✓ დაგეგმილი გამოფენები 2013 წლისთვის;
 - ✓ აბრეშუმის გზის პროგრამის მოკლე მიმოხილვა;
 - ✓ აბრეშუმის გზის პროგრამის სტრატეგია და ღონისძიებები 2013 წლისთვის;
 - ✓ აღნიშნულ იქნა საქართველოს აქტიური მონაწილეობა აბრეშუმის გზის პროგრამაში და მის ღონისძიებებში;
 - ✓ ტრენინგის პროგრამა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში დასაქმებულთათვის;
 - ✓ TedQual აკრედიტაციის გავლის შესაძლებლობები საქართველოში ტურიზმის სფეროში არსებული პროგრამების მიერ.
- უკრაინაში, ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაიმართა შავი ზღვის მე-2 საერთაშორისო ტურიზმის ფორუმი. ღონისძიების ფარგლებში BSEC-ის ტურიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაც ჩატარდა. განხილულ საკითხებს შორის იყო:
 - ✓ BSEC-ის საჯარო კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება, რომელიც მიღებული იყო 2012 წლის 11 ივნისს ბელგრადში, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე და გულისხმობს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას;
 - ✓ BSEC-ის ტურიზმის თანამშრომლობის ინსტიტუციონალური სტრუქტურის განხილვა. გასული წლების განმავლობაში წამოყენებულ იქნა შემდეგი წინადადებები:
 - ✓ საქართველო: ტურიზმის მარკეტინგის საბჭოს შექმნა;
 - ✓ ბულგარეთი: შავი ზღვის რეგიონის ბრენდინგი.
 - თურქეთში, ქ. იზმირში, გაიმართა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომისიის 55-ე შეხვედრა და სემინარი თემაზე: "Tourism at World Heritage Sites: Challenges and opportunities".

სემინარი დაყოფილი იყო სამ ნაწილად და დაეთმო შემდეგ თემებს:

 - ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგრადი მართვა;
 - ✓ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მარკეტინგი;
 - ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ძეგლთა დაცვის კუთხით.
 - ევროკავშირის პროექტის „თვინინგის“ (Twinning) ფარგლებში შემუშავდა და ქართულ ენაზე ითარგმნა ტურიზმის ახალი კანონის რეკომენდებული ჩარჩო ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარ მრჩეველთა საბჭოსთან კონსულტაციების შედეგად. აგრეთვე, მომზადდა მეორე კომპონენტის შედეგად მიღებული ტურიზმის ახალი კანონის რეკომენდებული ჩარჩოს შედეგების ანალიზი, რომელიც თან დაერთვება პროექტის საბოლოო ანგარიშს. ჩატარდა მრავალი ტრენინგი, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. ჩატარებულ ტრენინგებს შორის იყო:
 - ✓ ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, მენეჯმენტის უნარები და ლიდერობა და პერსონალური ტრენინგები;
 - ✓ კომუნიკაცია და პრეზენტაცია, დროის მენეჯმენტი და შეხვედრების კულტურა, შიდა კლიენტი და ტურიზმის ხარისხის მენეჯმენტი;
 - ✓ პრეზენტაცია და ტრენინგი ტურიზმის მომსახურების მენეჯმენტის თემაზე;
 - ✓ ტრენინგები პროექტების მენეჯმენტში, ბაზრის კვლევაში, მომსახურების დიზაინში, პროდუქტის განვითარებასა და მარკეტინგში;
 - ✓ „როგორ განვავითაროთ წარმატებული ტურისტული პროდუქტი“;
 - განხორციელდა საერთაშორისო მოგზაურების კვლევის V ტალდა (EPI-ის პროექტის ფარგლებში). მსგავსად წინა ტალდებისა მოცემული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: უცხოელი მოგზაურების ზოგადი სტრუქტურის აღწერა: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ქვეყნისა და ასაკის მიხედვით; საქართველოში ვიზიტის რიგითობა, ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი; ვიზიტორთა

ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით; საქართველოზე ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული მედია საშუალებები, ბაზრის სეგმენტაცია ვიზიტორთა პრეფერენციების მიხედვით; საქართველოში ვიზიტის ორგანიზებულობა (ტურისტული კომპანიის მიერ); ვიზიტორთა დანახარჯების განაწილება; საქართველოში ვიზიტით კმაყოფილების დონე; საქართველოში ხელახლა ჩამოსვლის მზაობა.

- განხორციელდა საერთაშორისო მოგზაურების კვლევის III ტალდა (EPI-ის პროექტის ფარგლებში). მსგავსად წინა ტალდებისა მოცემული კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების ზოგადი სტრუქტურის აღწერა: საცხოვრებელი ადგილის (თბილისი, სხვა ქალაქები, სოფლები) მიხედვით; წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი; ვიზიტორთა ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით; კონკრეტულ ტურისტულ ადგილებზე; ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული წყაროები; ვიზიტის ორგანიზება; ვიზიტორთა დანახარჯების განაწილება; ვიზიტით კმაყოფილების დონის განსაზღვრა და სხვა.
- ევროკავშირის პროექტის „თვინინგის“ (Twinning) ბოლო კვირაში ჩატარდა ევროკავშირის ტურიზმის მხარდაჭერის პროექტის დახურვის ღონისძიება. შეხვედრაზე წარდგენილ იქნა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული ვიდეო პრეზენტაცია მიღებული გამოცდილებისა და მომავალ საქმიანობაზე პროექტის გავლენის შესახებ. პროექტის დასკვნით ღონისძიებას დაესწრო 75 ადამიანი და აღნიშნული შეხვედრა გაშუქდა ტელევიზიის რამოდენიმე არხის მიერ.
- ქ. ბათუმში გაიმართა სუამ-ისა და ბალტიისპირეთის საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო კონფერენციასახელწოდებით "GUAM and Baltic Countries-Partners for Safe and Prosperous Regions". ღონისძიება ეთმობოდა სხვადასხვა თემატიკას, მათ შორის ტურიზმს. ხსენებულ კონფერენციაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი იყო როგორც ინფორმაციის გავრცელების კუთხით საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ, ასევე თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვის მხრივ.
- სტატისტიკური პორტალი ხუთი ძირითადი კატეგორიისგან შედგება: განთავსების საშუალებები, მუზეუმები, დაცული ტერიტორიები, საინფორმაციო ცენტრები და ტურისტული კომპანიები. შესასრულებელი სამუშაო თითოეულ კატეგორიაზე სხვადასხვა ვადით განისაზღვრა. განთავსების საშუალებების მოდულს, რომელსაც სხვა კატეგორიებისგან სირთულით გამოირჩეოდა მიეცა ყველაზე დიდი ვადა დასასრულებლად. ამ ეტაპზე შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

განთავსების საშუალებები

- მოხდა შიდა და გარე ჩვენების მოდულის ინგლისურად თარგმნა და ტესტირების რეჟიმში ნაკლოვანებების გამოსწორება
- მოხდა სამართავი პანელის სრულყოფა, რომელიც ადმინისტრატორს საშუალებას აძლევს იხილოს, რომელმა განთავსების საშუალებამ მოახდინა მონაცემების შეტანა და გააკეთოს შესაბამისი რეაგირება.
- შემუშავდა მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ახალი განთავსების საშუალების დამატება და გაუქმება შესაბამისად აისახება მონაცემთა ბაზეებზე.

დანარჩენი კატეგორიები

განხორციელდა მუზეუმების, დაცული ტერიტორიების, და საინფორმაციო ცენტრების ვიზიტორების აღრიცხვა ჩვენების მოდულის ტესტირება და ნაკლოვანებების გამოსწორება. დაემატა ტურისტული კომპანიების მოდული, სადაც მონაცემების ჩვენება შესაძლებელია შემდეგ ჭრილებში: ასაკობრივი სეგმენტი, ეროვნება ტურის ხანგრძლივობა, გამოყენებული ტურები ტიპების მიხედვით და ტურები რეგიონების მიხედვით. საინფორმაციო ცენტრებს საჭიროების შემთხვევაში საშუალება ექნებათ მონაცემთა აღრიცხვა აწარმოონ განთავსების საშუალებების, მუზეუმების და დაცული ტერიტორიების ნაცვლად.

- განხორციელდა საერთაშორისო მოგზაურების კვლევის 3 ტალდა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: უცხოელი მოგზაურების ზოგადი სტრუქტურის აღწერა: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ქვეყნისა და ასაკის მიხედვით; საქართველოში ვიზიტის რიგითობა, ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი; ვიზიტორთა ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით;

საქართველოზე ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული მედია საშუალებები, ბაზრის სეგმენტაცია ვიზიტორთა პრეფერენციების მიხედვით; საქართველოში ვიზიტის ორგანიზებულობა (ტურისტული კომპანიის მიერ); ვიზიტორთა დანახარჯების განაწილება; საქართველოში ვიზიტით კმაყოფილების დონე და სხვა.

მიზნობრივი ჯგუფი: 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოელი მოგზაურები, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საზღვრებს არსებული სასაზღვრო პუნქტიდან.

შერჩევის ზომა: 2 400 რესპონდენტი.

- განხორციელდა შინამეურნეობის კვლევის 2 ტალღა. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების ზოგადი სტრუქტურის აღწერა: საცხოვრებელი ადგილის (თბილისი, სხვა ქალაქები, სოფლები) მიხედვით; წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ვიზიტის ხანგრძლივობა და მიზანი; ვიზიტორთა ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით; კონკრეტულ ტურისტულ ადგილებზე; ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული წყაროები; ვიზიტის ორგანიზება; ვიზიტორთა დანახარჯების განაწილება; ვიზიტით კმაყოფილების დონის განსაზღვრა და სხვა.

მიზნობრივი ჯგუფი: 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტები, რომლებიც მოგზაურობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

შერჩევის ზომა: 1 600 რესპონდენტი.

- მიმდინარე წლის 24-29 აგვისტოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მონაწილეობას იღებდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ზიმბაბვესა და ზამბიაში. ღონისძიებაზე მოხდა ევროპის რეგიონში მიმდინარე ძირითადი ტურისტული ტენდენციების შეჯამება და საქართველოს ვიცე-თავმჯდომარედ მეორე ვადით არჩევა 2014-2015 წლებისთვის.
- მიმდინარე წლის 1-3 აგვისტოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ დუნჰუანგში გაიმართა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის საერთაშორისო კონფერენცია აბრეშუმის გზასთან დაკავშირებულ ტურიზმზე, რომელიც ორგანიზებულია ჩინეთის ტურიზმის ადმინისტრაციის (CNTA), განსაუხს პროვინციის და ჩინეთის ტურიზმის პალატის მიერ. ხსენებულ კონფერენციაზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციამ წარადგინა მოხსენება საქართველოს, როგორც წარმატებული მაგალითის, შესახებ სავიზო პროცედურების გამარტივების კუთხით. კონფერენციის განმავლობაში ჩატარდა სესიები შემდეგი სახელწოდებით:

- ✓ აბრეშუმის გზა დღეს;
- ✓ ბიზნესის ზრდისთვის ხელწემა გარემოს შექმნა;
- ✓ აბრეშუმის გზის ქალაქების როლი;
- ✓ მოგზაურობის გამარტივება და აბრეშუმის გზის ქვეყნების დაკავშირება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ✓ აბრეშუმის გზის პროდუქტის განვითარება და მიმზიდველობის გაზრდა.

- მიმდინარე წლის 26-28 ივნისს ქ. ბათუმში, გაიმართა სუამ-ისა და ბალტიისპირეთის საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით "GUAM and Baltic Countries-Partners for Safe and Prosperous Regions". ღონისძიება ეთმობოდა სხვადასხვა თემატიკას, მათ შორის ტურიზმს. კონფერენციაზე ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ წარადგინა

მოხსენება სუამ-ის და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პერსპექტივებისა და საერთო ტურისტული პროექტების განხორციელების შესაძლებლობების შესახებ. ასევე განიხილა საქართველოში ტურიზმის განვითარების ტენდენციები, საინვესტიციო შესაძლებლობი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრიორიტეტები.

- მიმდინარე წლის 1-2 ივლისს ქ. მადრიდში გაიმართა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკისა და სატელიტური ანგარიშის კომიტეტის სხდომა. საქართველო კომიტეტის წევრად 2011 წელს, გენერალურ ასამბლეაზე, აირჩიეს და მას შემდეგ წელს პირველად შეიკრიბა ხსენებული კომიტეტი. კომიტეტის სხდომა დაეთმო ტურიზმის სტატისტიკის წარმოების სახელმძღვანელოს, რომელიც მზადდება 2008 წლის რეკომენდაციებზე დამატებით. მოხდა დოკუმენტის ცალკეული თავის განხილვა, ჩვენი მხრიდან მიწოდებული კომენტარები ეხებოდა:

- ✓ ტურისტული დანახარჯების დათვლას, კერძოდ იმ ინფორმაციის იმპუტირებას, რისი მიღებაც ვერ ხერხდება კითხვარის საშუალებით სხვადასხვა მიზეზის გამო (მაგ. რესპონდენტმა ვერ გაიხსენა დანახარჯი კვებაზე)
- ✓ ტურისტული დანახარჯების დეტალიზაცია
- ✓ "ჩვეული გარემოს" განმარტება შიდა ტურიზმის კვლევისთვის და როგორ უნდა მოხდეს მისი განსაზღვრა დროისა და მანძილის მიხედვით (მაგ. თბილისის რეზიდენტი თუ გაემგზავრება რესტორანში კოჯორში უნდა ჩაითვალოს თუ არა შიდა ტურისტად)
- ✓ შერჩევის ზომის განსაზღვრა
- ✓ კვლევის კითხვარის დაზუსტება

შეხვედრის მეორე ნაწილში მოხდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ ტურიზმის სტატისტიკის შესახებ ჩატარებული ტრენინგების შეჯამება. საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ყველა ხსენებულ ტრენინგში. განიხილა აგრეთვე ორგანიზაციის ყოველწლიური გამოცემისთვის Compendium of Tourism Statistics ინფორმაციის მიწოდების კალენდარი.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში პრეზენტაციები წარადგინეს OECD-ს წარმომადგენელმა და ისაუბრა ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც ტარდება 2013 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში და 2014 წლის ნოემბერში იაპონიაში. გარდა ამისა 2013 წლის ნოემბრის თვეში იგეგმება სამუშაო შეხვედრის ჩატარება მალაგაში სტატისტიკის წარმოების საკითხებზე.

- **„სამკურნალო ტურიზმის მეექვსე საერთაშორისო კონგრესი“ 22-25 ნოემბერი თურქეთი, ქ.სტამბოლი**

მიმდინარე წლის 22-25 ნოემბერს ქალაქ სტამბოლში გაიმართა „სამკურნალო ტურიზმის მეექვსე საერთაშორისო კონგრესი“, რომელიც ჩატარდა თურქეთის სამკურნალო ტურიზმის ასოციაციის და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხრიდან ლონისძიებაზე მიწვეულ იქნენ: ხელმძღვანელის მოადგილე ქალბატონი რუსუდან მამაცაშვილი, რეგიონალური განვითარების განყოფილების უფროსი ქალბატონი მედეა ჯანიაშვილი, სასწავლო ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ლაშა წურწუშია

და დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სალომე ტრიპოლსკი.

ზემო ხსენებულ კონგრესში მონაწილეობას იღებდა 600 (ექვსასი) დელეგატი, საიდანაც 200(ორასი) უცხოელი, ხოლო 400 (ოთხასი) ადგილობრივი წარმომადგენლები გახლდნენ. კონგრესის ფარგლებში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა როგორცაა სამკურნალო ტურიზმის განვითარება და მისი ხელშეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების როლი ჯანმრთელობის ტურიზმში.

- **„South Caucasus Trans boundary tourism workshop” 27-29 ნოემბერი ქ.ბათუმი**

მიმდინარე წლის 27-29 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე თამარ ჩიკვაძე და დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სალომე ტრიპოლსკი დაესწრნენ ქ.ბათუმში “South Caucasus Trans boundary tourism workshop” ვორქშოფს, რომელიც გახლდათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული.

აღნიშნულ ვორქშოფზე განხილული იყო ტრანს სასაზღვრო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. პრეზენტაციით წარდგინენ აზერბაიჯანის , თურქეთის, საქართველოს წარმომადგენლები .

ვორქშოფის დასასრულს საზეიმო ვითარებაში მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი და დაისახა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები.

- **სამუშაო ვიზიტი შვეიცარიაში , 8-13 დეკემბერი შვეიცარიის კონფედერაცია ქ. ბერნი, ქ. ციურიხი**

მიმდინარე წლის 8-13 დეკემბერს ქალაქ ციურიხში და ქ.ბერნში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ სალომე ტრიპოლსკი, დაგეგმვისა და განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბატონი გირგი სიგუა.

აღნიშნული სამუშაო ვიზიტის დროს გაიმართა სხვადასხვა სახის შეხვედრა, კერძოდ შვეიცარიის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ბატონ ფრედერიკო სამარუგასთან. მოხდა ასევე შეხვედრა ტურისტულ სააგენტო KIRA TRAVEL-ში, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის სპეციალისტთან. შედგა ოფიციალური მიღება სტამ-ამ-რეინის მერის სახელით და სამუშაო ლანჩი ბ-ნ ვალტერ ლეუს სახელით (European Travel Commission (ETC)-ის ყოფილი პრეზიდენტი, Swiss Tourism-ის ყოფილი ხელმძღვანელი). ვალტერ ლოიმ მზადყოფნა გამოთქვა საქართველოს თავისი გამოცდილებით და ავტორიტეტით უსასყიდლოდ დაეხმაროს. აღნიშნული შეხვედრების დროს გადაწყდა, რომ ის საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი იქნება და 2014 წლის მაისში თბილისში 20-კაციან დელეგაციასთან ერთად ჩამოვა. დელეგაციაში შვეიცარიის პარლამენტის ყოფილი და ამჟამინდელი წევრები, ეკონომიკის სამინისტროსა და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იქნებიან.

- **საქართველოსა და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის პირველი სხდომა, 10-11 დეკემბერი, ბუდაპეშტი**

როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე წლის 10-11 დეკემბერს, ქ. ბუდაპეშტში გაიმართა საქართველოსა და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის პირველი სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოხდა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მიმართულების განსაზღვრაც.

უნგრეთში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ოლივერ ფოდორთან, ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის უფროსთან და გერგლი ჰორვატთან, Hungarian Tourism-ის ხელმძღვანელთან. შეხვედრაზე მოხდა შემდეგი თემების განხილვა:

-ტურიზმის როლი უნგრეთის ეკონომიკაში

-უნგრეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგია

-დესტინაციის მართვის ორგანიზაციები და მათი საქმიანობა

-მარკეტინგული კამპანიები

-შიდა ტურიზმის წამახალისებელი პროექტი, რომელიც გულისხმობს კერძო და სახელმწიფო

ორგანიზაციების მიერ თავიანთი თანამშრომლებისთვის პრემიის სახით გარკვეული თანხის გაცემას

(მაქსიმუმ 1500 ევრო), რომელიც დაბალი პროცენტით იბეგრება და განკუთვნილია ტურისტული მიზნებისთვის დასახარჯად (სასტუმროები, რესტორნები, გამაჯანსაღებელი კომპლექსები და სხვა).

შეხვედრის მსვლელობისას მოხდა უნგრელი კოლეგებისთვის საქართველოს გამოცდილების ტურიზმის განვითარების კუთხით გაზიარება. საუბარი შეეხო Wizz Air-ის მიერ უნგრეთიდან ქუთაისის მიმართულებით პირდაპირი რეისების დანიშვნას. კომისიის ფარგლებში შეიქმნა ტურიზმის სამუშაო ჯგუფი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას დაუთმობს პირდაპირი ფრენების საკითხსაც.

- **მსოფლიო ქარვის გზის მეორე საერთაშორისო კონფერენცია 17-19 დეკემბერი, ვილნიუსი, ლიტვა**

მიმდინარე წლის 17-19 დეკემბერს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და ლიტვის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ეგიდით ქ. ვილნიუსში გაიმართა მსოფლიო ქარვის გზის მეორე საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „World Amber Road“.

კონფერენცია გაიხსნა 17 დეკემბერს ქ. ვილნიუსში ლიტვის ეკონომიკის სამინისტროსა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელებული ლიტვის ვირტუალური ქარვის გზის პრეზენტაციით. 18 დეკემბერს კონფერენციის მეორე ნაწილი გახსნეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურმა დირექტორმა ისაბელ გარანამ და ლიტვის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რაიმონდა ბალნიენემ.

კონფერენციაზე განხილულ იქნა შემდეგი თემები:

პირველი სესია: თემატური ტურისტული მარშრუტები

მეორე სესია: დანიშნულების ადგილები მსოფლიო ქარვის გზაზე

მესამე სესია: ახალი ქვეყნები ახალი შესაძლებლობები

მეოთხე სესია: დისკუსია მრგვალ მაგიდასთან.

განხილულ იქნა მსოფლიო ქარვის გზის მომავალი განვითარების საკითხები.

კონფერენციის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციებთან გამოცდილების ურთიერთგაცვლა.

დასახული საბოლოო შედეგი :

დაინტერესებულ მომხმარებელის მოთხოვნებზე ორიენტირებული ტურისტული გარემოს შექმნა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების გამყარება.

მიღებული საბოლოო შედეგი :

ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიაში საქართველოს წარმოჩენა.

მიღწეული საბოლოო შედეგების ინდიკატორები :

1. ქართველი და უცხოელი ტურისტების ნაკადის ზრდა;
2. გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი;
3. არსებული ტურისტული პროდუქტების ცნობადობის ამაღლება მომხმარებლებში;
4. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.